



ევროკავშირი  
საქართველოსთვის



# საქართველოში აკვაკულტურის განვითარების პერსპექტივები

*საქართველოში აკვაკულტურის სფეროს საჭიროებების  
თემატური კვლევის ანგარიში და თევზის წარმოების სექტორის  
განვითარების ხელშემწყობი რეკომენდაციების პაკეტი*

2023 წელი

ეს პუბლიკაცია შექმნილია საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის მხარდაჭერით, ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის **“სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა: მდგრადი, ღია და ანგარიშვალდებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები საქართველოს განვითარებისთვის”** ფარგლებში. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ორგანიზაცია „მწვანე სექტორი“ და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის შეხედულებებს.

პროექტს ახორციელებს კონსორციუმი კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) ხელმძღვანელობით შემდეგ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად - საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG), სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი (CSI), კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრი (CTC), განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი (EDEC) და ევროპული პოლიტიკის ინსტიტუტი (IEP).

რედაქტორთა ჯგუფი:

- ✓ არჩილ გუჩმანიძე;
- ✓ ციალა ქათამიძე;
- ✓ ილია გუჩმანიძე.



# სარჩევი

რა არის აკვაკულტურა?	4
აკვაკულტურის განვითარება - მნიშვნელოვანი ფაქტები ისტორიიდან	7
მსოფლიოს უმსხვილესი აკვაკულტურის მწარმოებლები	10
აკვაკულტურა ევროკავშირის ქვეყნებში	12
აკვაკულტურის განვითარების თანამედროვე ტენდენციები და აკვაკულტურის სექტორის ეფექტური მართვა ევროკავშირისა და ევროკავშირის ქვეყნების კანონმდებლობის ანალიზის მიხედვით	16
თურქეთი	21
აკვაკულტურის ისტორია საქართველოში	24
აკვაკულტურა, როგორც სოფლის მეურნეობის განვითარებადი დარგი (საერთაშორისო რაკურსში)	27
აკვაკულტურის ღირებულება - ეკონომიკურ, სოციალურ და ეკოლოგიურ ასპექტებში	28
ევროკავშირის იმპორტის პირობები ზღვის პროდუქტებისთვის	30
აკვაკულტურის მეურნეობების საჭიროებების კვლევა	33
საქართველოში აკვაკულტურის განვითარების პოტენციალი და ამჟამინდელი მდგომარეობა	36
თევზის წარმოების პერსპექტივები - ევროინტეგრაციის კონტექსტში - ევროპული ბაზარი აკვა-პროდუქციისთვის - შესაძლებლობის გამოყენების მექანიზმები	48

აკვაკულტურის შემაფერხებელი გარემოებები და ძირითადი პრობლემური 51

საკითხები

თევზსაშენი მეურნეობების საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობის 54

მიმოხილვა

აკვაკულტურის კანონმდებლობის ნაკლოვანებები 64

რეკომენდაციები აკვაკულტურის სფეროში არსებული ნაკლოვანებების 72

გამოსწორების და პროგრესის უზრუნველყოფის მიზნით

---

## რა არის აკვაკულტურა?

აკვაკულტურის წამყვანმა სააგენტომ, ოკეანეების და ატმოსფეროს ეროვნულმა ადმინისტრაციამ (NOAA) აკვაკულტურა განმარტა როგორც "წყლის ორგანიზმების გამრავლება და აღზრდა კონტროლირებად ან შერჩეული წყლის გარემოში ნებისმიერი კომერციული, რეკრეაციული ან საზოგადოებრივი მიზნისთვის". სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აკვაკულტურა ეს არის - კომერციული, ტურისტულ-რეკრეაციული, იშვიათი და გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფი სახეობების აღწარმოებითი, ინტროდუქციის, რეინტროდუქციისა და ტრანსლოკაციების, სამეცნიერო-კვლევითი, საცდელი (ექსპერიმენტული), საგანმანათლებლო და შემეცნებითი, განკურნებითი და სანიტარული მიზნებისთვის - წყალმცენარეების, თევზებისა და წყლის უხერხემლოთა, ასევე ამფიბიებისა და ქვეწარმავლების გამრავლება და გამოზრდა ამ მიზნებისთვის მოწყობილ სპეციალურ კონსტრუქციებში.

ოქსფორდის ლექსიკონში ის განმარტებულია, როგორც „მცენარეების გაშენება და ცხოველების მოშენება წყალში“, ხოლო ენციკლოპედიაში „ბრიტანიკა“ როგორც „წყლის ბუნებრივი პროდუქტის (როგორც თევზის ან მოლუსკის) კულტივირება“.

აკვაკულტურა, ან „აკვამეურნეობა“ განსაზღვრულია გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მიერ, „როგორც თევზის, კიბოსნაირთა, მოლუსკებისა და ზღვის მცენარეების წარმოება, რაც თავის მხრივ გადამუშავდება ადამიანის მოხმარების პროდუქტად, განსაკუთრებით ზღვის პროდუქტების სახით. პროცესი მოიცავს ამ წყლის ფლორისა და ფაუნის შენახვას, კვებას და დაცვას. ის ძალიან პოპულარული გახდა, როგორც ბიზნესი და მეთოდი, იმდენად, რომ დღეს ზღვის პროდუქტების დაახლოებით 50% არის აკვაკულტურის განვითარების შედეგად მიღებული. ბიზნესი გაფართოვდა და მოიცავს წყალმცენარეებს, მეზღვაურობას, კრევეტების მოშენებას, ხამანწყების მეურნეობას, თევზის მეურნეობას და ორნამენტულ თევზის კულტურას.“

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მეთევზეობის დეპარტამენტის აკვაკულტურის სამეთვალყურეო კომიტეტმა აკვაკულტურა განსაზღვრა შემდეგნაირად: „აკვაკულტურა არის წყლის ორგანიზმების მოშენება, მათ შორის თევზის, მოლუსკების, კიბოსნაირებისა და წყლის მცენარეების. მეურნეობა გულისხმობს ერთგვარ ჩარევას აღზრდის პროცესში წარმოების გასაძლიერებლად, როგორცაა რეგულარული შენახვა, კვება, მტაცებლებისგან დაცვა და ა.შ.“

არსებობს ასევე სხვა სახის განმარტებებიც, რომელიც რეალურად იგივე შინაარსისაა, მაგრამ აკვაკულტურას განმარტავს სხვადასხვა მიმართულებებით:

- ✓ „აკვაკულტურა ნიშნავს წყლის სახეობების მოშენებას (გაშენებას) მათი ეკონომიკური ექსპლუატაციის მიზნით“;

- ✓ „აკვაკულტურა ნიშნავს თევზის ქვირითის გამრავლებას ან თევზის მოშენებას მეცხოველეობის გზით მისი სასიცოცხლო ციკლის მთელი ან ნაწილის განმავლობაში“.
- ✓ "აკვაკულტურა არის სოფლის მეურნეობის ფორმა, რომელიც არის წყლის მცენარეების, ცხოველების და მიკროორგანიზმების კონტროლირებადი კულტივაცია."
- ✓ „აკვაკულტურა ნიშნავს წყლის ორგანიზმების აღზრდას ან კულტურას ტექნიკის გამოყენებით, რომელიც შექმნილია ამ ორგანიზმების წარმოების გაზრდის მიზნით, გარემოს ბუნებრივი შესაძლებლობების მიღმა; ორგანიზმები რჩება ფიზიკური ან იურიდიული პირის საკუთრებაში აღზრდის ან კულტურის სტადიის განმავლობაში, მოსავლის აღებამდე და მათ შორის.“.

განმარტებების მრავალფეროვნება დამოკიდებულია ბევრ საკითხზე, მაგრამ ამ საკითხთან დაკავშირებით განსაკუთრებით ხაზგასასმელია ერთი გარემოება - აკვაკულტურაზე იურისდიქციის მქონე სამთავრობო უწყებების რაოდენობა და სფეროს მართვის სპეციფიკა დამოკიდებულია აკვაკულტურის ცნების განმარტებაზე.

ტერმინი აკვაკულტურა - შედგენილია ლათინური სიტყვებიდან AQUA-წყალი და CULTURA-მოვლა, მოშენება.

ეროვნულ კანონმდებლობაში დამკვიდრებულია ტერმინი აკვაკულტურა და არა აქვაკულტურა. შესაბამისად ტერმინ „აკვაკულტურა“-ს გამოყენება არამართებულია. ტერმინს არ გააჩნია მრავლობითი ფორმა, არამართებულია აკვაკულტურები, მარიკულტურები და ა.შ.

არ არსებობს აკვაკულტურის საყოველთაოდ მიღებული განმარტება - განმარტებებს შორის სხვაობა, როგორც ფორმალური, ასევე გარკვეულწილად შინაარსობრივი ხასიათისაა, თუმცა შინაარსში სხვაობა არაა რადიკალური. ძირითად სხვაობას განმარტებებს შორის წარმოადგენს „საზღვრის დემარკაცია“ ბუნებრივ წყალსატევებში სხვადასხვა ღონისძიებებით სტიმულირებულ თევზჭერასა (მეთევზეობას) და აკვაკულტურას შორის. სხვადასხვა საერთაშორისო, თუ ეროვნული დონის ორგანიზაცია, ეროვნული თუ საერთაშორისო ნორმატიული აქტი (UN-FAO, EU-DIRECTIVES, IUCN, WWF, NOAA, Federal law of United States და სხვა) განსხვავებულად განმარტავს აკვაკულტურას.

ჩვენი მოსაზრებით აკვაკულტურის ყოვლისმომცველი განმარტებაა:

*„კომერციული, ტურისტულ-რეკრეაციული, იშვიათი და გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფი სახეობების აღწარმოებითი, ინტროდუქციის, რეინტროდუქციისა და ტრანსლოკაციების, სამეცნიერო-კვლევითი, საცდელი (ექსპერიმენტული), საგანმანათლებლო და შემეცნებითი, განკურნებითი და სანიტარული მიზნებისთვის - წყალმცენარეების, წყლის უხერხემლოების, თევზების, ასევე ამფიბიებისა და წყლის ქვეწარმავლების გამრავლება და გამოზრდა ამ მიზნებისთვის მოწყობილ სპეციალურ კონტრუქციებში“.*

აკვაკულტურას შემდეგნაირად განმარტავს „საქართველოს კანონი აკვაკულტურის შესახებ“:

*„აკვაკულტურა – წყლის ცოცხალი ორგანიზმის (თევზი, მოლუსკი, კიბოსნაირი, წყლის მცენარე) ისეთი საშუალებების გამოყენებით მოშენება (კულტივირება, გამოზრდა, გამრავლება), რომელთა მიზანია ამ ორგანიზმის წარმოების გაზრდა გარემოს ბუნებრივი შესაძლებლობების მიღმა. ეს ორგანიზმი ერთი ან ერთზე მეტი ფიზიკური ან იურიდიული პირის საკუთრებაში რჩება მთელი პერიოდის განმავლობაში – გამოზრდიდან პროდუქციის მიღების ჩათვლით. წყლის ცოცხალი ორგანიზმის მოშენება გულისხმობს ამ ორგანიზმის გაზრდის ორგანიზებულ პროცესს, მათ შორის, მის გამრავლებას ან რეგულარულ შენახვასა და კვებას ან/და მტაცებლისგან ან სხვა, მსგავსი ჩარევისგან დაცვას აღნიშნული ორგანიზმის ბუნებრივი სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში“.*

# აკვაკულტურის განვითარება - მნიშვნელოვანი ფაქტები ისტორიიდან

როგორც ზემოთ აღინიშნა, აკვაკულტურა მოიცავს წყლის ორგანიზმების მეურნეობას.

- მტკნარი წყლის აკვაკულტურა ემპირიულად განვითარდა ჩინეთში, დაახლოებით ჩვენს წელთაღრიცხვამდე 1000 წლით ადრე. იქ აუზებში წყალმცენარეების ზრდის სტიმულირებისთვის, მეცხოველეობის თხევადი სასუქი გამოიყენებოდა. ასე რომ, შეგვიძლია ვთქვათ, აკვაკულტურის, როგორც ინტეგრირებული სოფლის მეურნეობის პირველი სისტემები გაჩნდა ჩინეთში, სადაც ისინი დღესაც დანერგილია.
- ჩვენს წელთაღრიცხვამდე დაახლოებით 500 წელს რომაელები ხმელთაშუა ზღვის ე.წ. ლაგუნებში (ზღვის ან ოკეანის წყალმარჩხი აუზი, რომელიც ზღვას უერთდება ვიწრო სრუტით, ან მისგან გამოყოფილია ფსკერული ნატანის ზვინულით — ბარით, ცელათი ან სანაპიროს სხვა აკუმულაციური ფორმით. ღია ზღვასთან შედარებით ლაგუნაში წყალი მეტად ან ნაკლებად მარილიანია, გროვდება სპეციფიკური ლაგუნური ნალექები და განსხვავებული ფლორა და ფაუნა.) ამუშავებდნენ ხამანწკებს და თევზებს, ანუ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ევროპაში აკვაკულტურა პირველად ძველ რომში დაიწყო. რომაელებმა, რომლებსაც უყვარდათ ზღვის თევზი და ხამანწკები, შექმნეს ხამანწკების მეურნეობები და მათ ამრავლებდნენ ე.წ. ასურულ ვივარიუმში, ერთგვარ "საცურაო აუზში", სადაც ლაგუნებში დაჭერილ თევზებსა და კიბოსნაირებს ცოცხლად ინახავდნენ.
- შუა საუკუნეებში, მთელს ფეოდალურ ევროპაში, მონასტრებსა და არისტოკრატიულ ოჯახებში არსებობდა მსგავსი აუზები, რადგან სწორედ მათ ჰქონდათ მონოპოლია მიწაზე, ტყეებსა და წყლის რესურსებზე.
- რენესანსის დროს, შეიქმნა სხვადასხვა წესი, რომელიც არეგულირებდა აუზების მშენებლობისა და მართვის ტექნიკას, მეურნეობისთვის სახეობების არჩევის, მათი დაავადებებისა და მათი კვების საკითხებს.
- მაგალითად, კობრი დომინირებდა აღმოსავლეთ ევროპის ხელოვნურ ტბორებში. იმპერატორმა ჩარლზ IV-მ ბრძანა, გაეშენებინათ მრავალი ასეთი ხელოვნური ტბა ბოჰემიაში, რომელიც ამჟამად ჩეხეთის რესპუბლიკის ყველაზე დასავლეთ რეგიონია.
- თევზის ხელოვნური მოშენება დაიწყო გერმანიაში განმანათლებლობის დროს, მაგრამ ეს დარგი სრულყოფილად მხოლოდ მე-19 საუკუნეში განვითარდა.
- მოგვიანებით, მსოფლიოში დაიწყო კაშხლების, სარწყავი არხების თუ სხვა დიდი ინდუსტრიული მშენებლობები და გახშირდა ზღვებისა და ოკეანეების დაბინძურების შემთხვევები, ამან ასევე გამოიწვია თევზის პოპულაციის შემცირება, პრობლემები შეექმნა თევზის არაერთ სახეობას, მაგალითად, ორაგულს. სწორედ ამ დროიდან ჩაერთვნენ პროცესში გარემოს დამცველები, მეცნიერები, ექსპერტები და სფეროს



მართვა უფრო სტრუქტურირებული და კონტროლირებადი გახდა - ლიფსიტების ხელოვნური მოშენებიდან მის ტრანსპორტირებამდე. ასევე აქტუალური გახდა თევზის ხელოვნური მოშენება არა მხოლოდ საკვები თუ სხვა დანიშნულებით, არამედ ხდებოდა მისი ველურ ბუნებაში გაშვებაც, რადგან მომხდარიყო თევზის სხვადასხვა სახეობების გადარჩენა.

- მე-20 საუკუნის პირველი ხუთი ათწლეულის განმავლობაში, დარგის ეფექტური განვითარებისთვის აქტიურად დაიწყო თევზის ფერმების მეპატრონეების, სახელმწიფოს და მეცნიერების თანამშრომლობა.
- 1950-იანი წლების ბოლოს, ხელოვნური გრანულირებული საკვების გამოგონებამ რევოლუცია მოახდინა თევზის მეურნეობაში.
- 1970-იან წლებში საზღვაო სახეობების აკვაკულტურაში უკვე დაინერგა ე.წ. მცურავი გალიები.
- გასული საუკუნის 60-70-იან წლებში ნათელი გახდა, რომ მსოფლიო ოკეანის ბიორესურსები ამოუწურავი არაა. აღნიშნულ პერიოდში რეწვის სხვადასხვა ობიექტის მარაგები კატასტროფულად შემცირდა, რის გამოც მრავალი ქვეყანა სანაპიროს წყლებში წყალმცენარეების, მოლუსკების, კიბოსნაირებისა და თევზების საზღვაო ფერმების მოწყობას ინტენსიურად შეუდგა.
- გასული საუკუნის 80-90-იან წლებში მარიკულტურა კიდევ უფრო ინტენსიურად ვითარდება. მე-20 საუკუნის ბოლოს და 21 საუკუნის მიმდინარე პერიოდში მარიკულტურამ და აკვაკულტურამ განვითარების არნახულ მასშტაბებს მიაღწია, იგი სოფლის მეურნეობის რიგითი მიმართულებიდან - მძლავრ ინდუსტრიად და ეკონომიკის სექტორად გადაიქცა - ეს მოვლენა „ცისფერი რევოლუციის“ სახელითაა ცნობილი.

ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ 21-ე საუკუნის დასაწყისში აკვაკულტურის მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზარდა.

**კიოტოს (1976) კონფერენციასა და ზანგოკის (2000) კონფერენციას შორის 24 წლის შუალედში, აკვაკულტურამ განიცადა მნიშვნელოვანი ცვლილებები ბევრ სფეროში, დაწყებული მცირე მასშტაბის საკარმიდამო საქმიანობიდან, დამთავრებული ფართომასშტაბიანი კომერციული მეურნეობებით. კიოტოს კონფერენციამ მიიღო „კიოტოს დეკლარაცია აკვაკულტურის შესახებ“, რომლის კონკრეტული რეკომენდაციები მიმართული იყო:**

- ✓ დარგის განვითარებაზე პასუხისმგებელი პირების მიმართ;
- ✓ ითვალისწინებდა ინვესტიციებს და დახმარებას აკვაკულტურის განვითარებაში, ტექნოლოგიების გადაცემაში;
- ✓ დეკლარაცია მოუწოდებდა მთავრობებს საპილოტე სამეცნიერო თუ სხვა სახის პროექტების დაფინანსებასა და კვლევის კოორდინაციისა და ინტეგრაციისკენ.

მოკლედ რომ ვთქვათ, კიოტოს სტრატეგიის მიზანი იყო მეტი მეცნიერების შეტანა ტრადიციული აკვაკულტურის პრაქტიკაში, გაუმჯობესებული ტექნოლოგიების გავრცელება და ცოცხალი ძალის განვითარება განვითარებად ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გზით. ამრიგად, სტრატეგია მიზნად ისახავდა განვითარებად რეგიონებში აკვაკულტურის ცენტრების რეგიონული ქსელების შექმნას, რომლებიც შემდგომში გადაიქცნენ მთავრობათაშორის ორგანიზაციებად. ერთ-ერთი ასეთი ქსელი იყო **აზია-წყნარი ოკეანის აკვაკულტურის ცენტრების ქსელი (NACA)**.

აკვაკულტურის მდგრადი განვითარება გაგრძელდა მოგვიანებითაც, მაგალითად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) 2016 წელს თევზაობისა და აკვაკულტურის შესახებ მოხსენების თანახმად, „გლობალური წარმოების მოცულობის თვალსაზრისით, ფერმერული თევზისა და წყლის მცენარეების გაერთიანება აღემატება დაჭერილ თევზაობას 2013 წელს“.

# მსოფლიოს უმსხვილესი აკვაკულტურის მწარმოებლები

ამ ეტაპისთვის აკვაკულტურის სექტორის პროდუქციის მწარმოებელი ძირითადი ქვეყნებია:

- ✓ ჩინეთი;
- ✓ ინდონეზია;
- ✓ ინდოეთი;
- ✓ ვიეტნამი;
- ✓ ბანგლადეში;
- ✓ სამხრეთ კორეა;
- ✓ ეგვიპტე;
- ✓ ნორვეგია;
- ✓ იაპონია.

ამ დროისთვის მსოფლიოში რეკორდული რაოდენობით ხდება მეთევზეობისა და აკვაკულტურის სფეროში საკვები პროდუქტების წარმოება. განსაკუთრებით კი ბოლო წლებში მსოფლიოში მნიშვნელოვნად გაიზარდა ბიოლოგიური რესურსების (თევზი, წყალმცენარეები და ა.შ) გამოყენება და ეს ზრდა დღემდე გრძელდება. შეიძლება ითქვას, რომ აკვაკულტურას გააჩნია ძალიან დიდი პოტენციალი, რომ დედამიწაზე მზარდი მოსახლეობა უზრუნველყოს საკვებით, მაგრამ ამის აუცილებელი პირობაა, რომ მისი განვითარება უნდა იყოს მდგრადი.

2020 წელს მეთევზეობის და აკვაკულტურის პროდუქციის სრული მოცულობა დაახლოებით 214 მილიონ ტონას აღწევს და ამაში ძალიან მაღალია აკვაკულტურის განვითარების შედეგად მიღებული პროდუქციის წილი, განსაკუთრებით აზიაში. აღსანიშნავია ასევე ისიც, რომ 2020 წელს მეთევზეობისა და აკვაკულტურის პროდუქციით საერთაშორისო ვაჭრობის მოცულობა დაახლოებით 151 მილიარდი დოლარია.

2020 წელს ამ სექტორში (მეთევზეობა აკვაკულტურის ჩათვლით) მოხდა 60 პროცენტით მეტი პროდუქციის წარმოება, ვიდრე 1990–იან წლებში. ეს ნიშნავს, რომ ადამიანები 2020 წელს მოიხმარენ გაცილებით მეტ ბიო-რესურსებს ვიდრე ბოლო 50 წელში. აღსანიშნავია, ასევე რომ ამ სექტორის პროდუქციის პირველად წარმოებაში ჩართულია 58,5 მილიონი ადამიანი, აქედან ქალების წილი არის დაახლოებით 21 პროცენტი.

2020 წელს მსოფლიოში აკვაკულტურის სფეროში 122,6 მილიონი ტონა პროდუქციის წარმოება მოხდა, რომლის საერთო ღირებულება იყო 281,5 მილიარდი დოლარი.

2020 წელს მსოფლიო ბაზარზე გავიდა 178 მლნ ტონა ზღვის პროდუქტი, რაც ცოტათი ჩამორჩება 2018 წლის რეკორდულ მაჩვენებელს (179 ტონა). სამრეწველო თევზჭერიდან

მიღებული პროდუქცია იყო 90 მლ ტონა (სრული მოცულობის 51%), ხოლო აკვაკულტურის პროდუქცია 88 მლ ტონა (49%).

როგორც აღინიშნა, 2020 წელს აკვაკულტურის სექტორში მოხდა 122,6 მლ ტონა პროდუქციის წარმოება.

21 საუკუნის მთავარ გამოწვევად, განსაკუთრებით კოვიდ 19-ის ფონზე სიღარიბე, დასაქმება და ჯეროვანი საკვებია, აქედან გამომდინარე მეთევზეობის, განსაკუთრებით კი აკვაკულტურის განვითარების მნიშვნელობა ძალიან მაღალია. ამ პროცესს „ცისფერი ტრანსოფორმაციის“ პროცესი ეწოდება.

# აკვაკულტურა ევროკავშირის ქვეყნებში

ევროკავშირის ქვეყნებში აკვაკულტურის სექტორში წარმოებული პროდუქცია შეადგენს ევროკავშირში თევზისა და მოლუსკის მარაგის დაახლოებით 20%-ს და უშუალოდ დასაქმებულია დაახლოებით 70000 ადამიანი. სექტორი მოიცავს დაახლოებით 15000 საწარმოს, ძირითადად მცირე ბიზნესს ან მიკრო საწარმოებს.

ევროკავშირის მთლიანი წარმოება მეტ-ნაკლებად სტაბილური იყო 2000 წლიდან. ევროკავშირში აკვაკულტურის პროდუქციის ძირითადი მწარმოებელი ქვეყნებია:

- ✓ ესპანეთი;
- ✓ საფრანგეთი;
- ✓ იტალია;
- ✓ საბერძნეთი;
- ✓ გაერთიანებული სამეფო.

ევროკავშირში აკვაკულტურის წარმოება როგორც მომენებული სახეობებით, ასევე წარმოების მეთოდების (ზღვის გალიები, აუზები, სარბენი გზები, ხმელეთზე მოძრავი აკვაკულტურის სისტემები) თვალსაზრისით, საკმაოდ მრავალფეროვანია. ზღვის პროდუქტების 100-მდე სხვადასხვა სახეობა ამჟამად მომენებულია აკვაკულტურის სხვადასხვა ობიექტზე მთელს მსოფლიოში.

ევროკავშირში:

- ✓ აკვაკულტურის წარმოების 45%-ზე მეტი მოლუსკებია;
- ✓ აკვაკულტურის წარმოების 30%-ზე მეტი ზღვის თევზია;
- ✓ აკვაკულტურის წარმოების 20%-ზე მეტი მტკნარი წყლის თევზია.

მიუხედავად აკვაკულტურის მრავალფეროვნებისა, ევროკავშირის აკვაკულტურის წარმოება ძირითადად კონცენტრირებულია რამდენიმე სახეობაზე, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია მიდიები, ორაგული, ცისარტყელა კალმახი, ხამანწყები და კობრი.

აკვაკულტურის მდგრადი განვითარება ევროკავშირის მეთევზეობის საერთო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი მიზანია. აკვაკულტურის წარმოება „ევროპის მწვანე შეთანხმების“ თანახმად, აღიარებულია როგორც საკვებისა და საკვებისთვის "დაბალნახშირბადის" ცილის წყარო. („ევროპის მწვანე შეთანხმება“ არის პოლიტიკის ინიციატივების პაკეტი, რომელიც მიზნად ისახავს, დააყენოს ევროკავშირი „მწვანე გადასვლის“ გზაზე, 2050 წლისთვის კლიმატის ნეიტრალიტეტის მიღწევის საბოლოო მიზანი. იგი მხარს უჭერს ევროკავშირის ტრანსფორმაციას სამართლიან და აყვავებულ საზოგადოებად. თანამედროვე და კონკურენტუნარიანი ეკონომიკა).

აკვაკულტურის წარმოება ექვემდებარება ლიცენზირებისა და მონიტორინგის პროცედურებს ევროკავშირის ქვეყნებში და უნდა შეესაბამებოდეს ევროკავშირის კანონმდებლობისა და ეროვნული კანონმდებლობის მკაცრ მოთხოვნებს, რათა უზრუნველყოფილი იყოს ადამიანისა და ცხოველების ჯანმრთელობისა და გარემოს მდგრადი განვითარება.

ევროკავშირის ქვეყნებში აკვაკულტურის გარემოსდაცვითი მდგრადობის თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტები ეხება:

- ✓ აკვაკულტურის საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
- ✓ მონიტორინგს და შეზღუდვას (მაგ. წყალში აკვაკულტურის ფერმებიდან საკვები ნივთიერებებისა და ორგანული ნივთიერებების გამონადენის თვალსაზრისით);
- ✓ დაავადებების მართვას;
- ✓ ისეთი ვეტერინარული მედიკამენტების და სხვა ნივთიერებების გამოყენებას, რომელსაც უარყოფითი ზემოქმედება არ აქვს გარემოზე.

აკვაკულტურა მნიშვნელოვანი საქმიანობაა ბევრ წევრ ქვეყანაში, რომელიც აწარმოებს დაახლოებით 1,3 მილიონ ტონას მოცულობით და 5 მილიარდ ევროზე მეტს ღირებულებით. მსოფლიო აკვაკულტურის წარმოების მთლიანი ნაწილი ევროკავშირს უკავია 1,23% მოცულობით და 2,29% ღირებულებით. ხმელთაშუა ზღვის მიდებში შეადგენს ევროკავშირში მოშენებული მთლიანი მოცულობის დაახლოებით მეოთხედს, ხოლო ატლანტიკური ორაგული და ცისარტყელა კალმახი ერთად მთლიანი ღირებულების მხოლოდ მესამედს შეადგენს.


## **აკვაკულტურის მთლიანი წარმოება ევროკავშირის წევრ სახელმწიფოზე (2017)**

(ღირებულება ათას ევროში, მოცულობა ტონებში ცოცხალი მასა და მთლიანი პროცენტი)

ქვეყანა	ღირებულება	%	მოცულობა	%
UK	1 282 725	25.36%	222 249	16.20%
FR	770 814	15.24%	189 482	13.81%
ES	578 253	11.43%	314 957	22.96%
EL	545 689	10.79%	125 640	9.16%

IT	542 709	10.73%	156 307	11.39%
IE	185 017	3.66%	43 247	3.15%
MT	180 402	3.57%	15 721	1.15%
DK	114 694	2.27%	34 850	2.54%
PL	105 407	2.08%	36 506	2.66%
HR	100 974	2.00%	17 114	1.25%
DE	99 184	1.96%	33 784	2.46%
NL	93 587	1.85%	51 141	3.73%
PT	83 743	1.66%	12 553	0.91%
FI	72 010	1.42%	14 584	1.06%
CZ	56 879	1.12%	21 685	1.58%
SE	53 692	1.06%	14 793	1.08%
HU	38 799	0.77%	18 258	1.33%
CY	37 724	0.75%	7 276	0.53%
BG	32 806	0.65%	15 751	1.15%
RO	32 790	0.65%	12 798	0.93%
AT	23 375	0.46%	3 863	0.28%
LT	10 624	0.21%	3 407	0.25%
SK	6 112	0.12%	2 609	0.19%
SI	4 376	0.09%	1 684	0.12%
EE	3 717	0.07%	870	0.06%
LV	2 235	0.04%	808	0.06%
BE	683	0.01%	75	0.01%
Total EU-28	5 059 021	100%	1 372 012	100%

## European Union aquaculture production per product type (2017)



● Molluscs and crustaceans ● Freshwater fish ● Marine fish ● Salmonids

Highcharts.com



# აკვაკულტურის განვითარების თანამედროვე ტენდენციები და აკვაკულტურის სექტორის ეფექტური მართვა ევროკავშირსა და ევროკავშირის ქვეყნების კანონმდებლობის ანალიზის მიხედვით

როგორც ზემოთ აღინიშნა, აკვაკულტურის განვითარება კაცობრიობის ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე, სხვადასხვა სუბიექტური თუ ობიექტური გარემოებების გათვალისწინებით, დედამიწის სხვადასხვა ნაწილში, სხვადასხვანაირი დინამიკით წარიმართა. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ცალკეულ ქვეყნებში აკვაკულტურა დამოუკიდებლად ჩამოყალიბდა, მაგრამ მათ ჰქონდათ საერთო მახასიათებლები, მაგალითად ყველა ქვეყანაში ძირითადი მოთამაშე აქტორები ძირითადად იყვნენ: **ბიზნეს სექტორი და სახელმწიფო**, მოგვიანებით ამ აქტორებს დაემატა საერთაშორისო ორგანიზაციებიც.

აღნიშნულ თავში საკითხები ძირითადად განხილულია ევროკავშირსა და ევროკავშირის ქვეყნებში არსებული პრაქტიკისა და აკვაკულტურის სექტორში არსებული ადმინისტრირებისა და აკვაკულტურის მდგრადი განვითარების მიზნების ჭრილში.

როგორც ზემოთ აღინიშნა, აკვაკულტურის სექტორის ძირითადი აქტორებია: **ბიზნეს სექტორი და სახელმწიფო** (სახელმწიფოს, როგორც აქტორს განვიხილავთ, როგორც აკვაკულტურის საერთაშორისო პოლიტიკის გამტარებელ მოთამაშედ).

**ბიზნეს სექტორი** - თევზის ფერმების სხვადასხვა სახეობა არსებობს და ისინი განსხვავდებიან სხვადასხვა, მათ შორის, **სოციალურ-ეკონომიკური კონტექსტით**, მაგრამ მათ აქვთ ერთი საერთო - ისინი ყველა, ძალიან მცირე გამონაკლისის გარდა, ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ გააუმჯობესონ თევზის მეურნეობისგან მიღებული საარსებო წყარო; ისინი ცდილობენ გააუმჯობესონ შემოსავლები და შეამცირონ ხარჯები; ისინი ცდილობენ, რომ მათ მიერ წარმოებული პროდუქცია მისაღები იყოს მათთვის, ვინც მას ყიდულობს. მაგრამ, გარდა კერძო სექტორის მოთამაშეთა ძალისხმევისა, მნიშვნელოვანია სისტემა, რომელიც იქნება პასუხისმგებელი აკვაკულტურის განვითარებისა და მართვის საკითხებზე და ასევე „საჯარო სექტორის“ პოლიტიკის შემუშავებასა და დაგეგმვაზე და ესაა სწორედ მეორე ძირითადი მოთამაშის ფუნქცია.

**საჯარო დაწესებულებები (ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოები)** – ქვეყანაში სახელმწიფო ადმინისტრაციამ უნდა შეუწყოს ხელი მეთევზეებისთვის ოპტიმალური ეკონომიკური და სოციალური გარემოს და უზრუნველყოფას, ასევე უნდა შეიმუშავოს ისეთი ჩარჩო რეგულაციები, რომელიც უზრუნველყოფს გარემოს დაცვა.

მოკლედ რომ ვთვათ, აქ სახელმწიფო წარმოდგენილია თავისი ადმინისტრაციული აპარატით და ბიზნესი ამ შემთხვევაში მცირე, საშუალო და დიდი ფერმების თუ იდუსტრიების სახით.

**ორივე აქტორის საქმიანობის ანალიზი გვამღევეს იმის თქმის საშუალებას, რომ მათ აკვაკულტურის სექტორის განვითარების მეტნაკლებად თანაბარი ინტერესი აქვს.**

აკვაკულტურის სექტორის ეფექტური და შედეგზე ორიენტირებული მართვის სისტემის შესაქმნელად მნიშვნელოვანია დაისვას მთავარი კითხვა - რისი გაკეთება შეუძლია საჯარო ადმინისტრატორს, რათა ხელი შეუწყოს თევზის ფერმების განვითარებას უახლოეს ათწლეულებში.

სექტორის განვითარების უფრო ეფექტური შესაძლებლობებისა და მექანიზმების მოძიების მიმართულებით, სახელმწიფოს სხვადასხვა რესურსის გათვალისწინებით, სახელმწიფოს გაცილებით მეტი პასუხისმგებლობა აქვს, ვიდრე კერძო სექტორს. აქედან გამომდინარე სახელმწიფომ უნდა იმუშაოს სხვადასხვა მიმართულებით, კერძოდ:

- ✓ აკვაკულტურის სექტორის მარეგულირებელი გამართული კანონმდებლობა თუ სხვა აქტები - განსაკუთრებით ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ იმ ქვეყნებში სადაც აკვაკულტურა კონრეტული ეტაპისთვის ნაკლებად არის განვითარებული, ან არის აკვაკულტურის განვითარების ალბათობა, სექტორის ადმინისტრირებისთვის აუცილებელია არსებობდეს შესაბამისი **მინიმალურა საკანონმდებლო ბაზა**, რომელიც უნდა მოიცავდეს სამ ძირითად კომპონენტს:

- ძირითადი საკანონმდებლო ტექსტები;
- აკვაკულტურის ნებართვის გაცემის პროცედურები;
- აკვაკულტურის ზონირება.

ძირითადი საკანონმდებლო ტექსტებით აკვაკულტურა უნდა იყოს **ადიარებული ეკონომიკური საქმიანობა**, რომელიც სარგებლობს - განსაკუთრებით განახლებადი ბუნებრივი რესურსების გამოყენების კუთხით - იგივე უფლებებით და მოვალეობებით, როგორც სხვადასხვა ტიპის მეურნეობა, მაგალითად, მეთევზაობა და მეტყევეობა. გარდა ამისა, ეს ტექსტები მკაფიო უნდა იყოს განსაკუთრებით იმ ნაწილში, თუ როგორ უნდა მოხდეს სექტორის მართვა.

ნებართვების გაცემის პროცედურამ უნდა განსაზღვროს ის სახეობები, რომლებიც შეიძლება იყოს კულტივირებული და ის ტექნოლოგიები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას აკვაკულტურის სფეროში; ასევე უნდა განისაზღვროს ადმინისტრაციული პროცედურები.

შეიძლება დავასკვნათ, რომ ეს საკანონმდებლო ბაზა უნდა იყოს პრიორიტეტული ყველა ქვეყანაში, სადაც ის არ არსებობს და სადაც არის აკვაკულტურის განვითარების ალბათობა.

- ✓ **აქტიური თანამშრომლობა ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო (მათ შორის საუნივერსიტეტო) ორგანიზაციებთან** - მნიშვნელოვანია, რომ **ექსპერტებს** საშუალება ჰქონდეთ **გაცვალონ გამოცდილება და კარგი პრაქტიკა** სექტორის მხარდაჭერის შიდა ეროვნული ღონისძიებების შესახებ. ეს პრაქტიკა მერყეობს ლიცენზირების სისტემებიდან და სივრცის გამოყოფიდან, აკვაკულტურის პროდუქტების მარკეტინგის ჩათვლით. ასევე, უმნიშვნელოვანესია, სხვადასხვა სახის ინოვაციების გამოყენების პრაქტიკული გამოცდილების გაზიარებაც; ხაზგასასმელია ისიც, რომ ღარიბი ქვეყნების ხელისუფლებების უმეტესობას არ გააჩნია რესურსები, რომლებიც საჭიროა კომერციულად მომგებიანი ტექნოლოგიების გასავითარებლად ადგილობრივი სახეობებისთვის, რადგან ტექნოლოგიის განვითარებისა და ადაპტაციისთვის საჭირო სამუშაოს დიდი ნაწილი ძვირია. ამ ნაწილში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, საერთაშორისო თანამშრომლობა, მაგალითად ისეთი, როგორც არის ცოცხალი წყლის რესურსების მართვის საერთაშორისო ცენტრი (ICLARM).
  
- ✓ **თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და მის წევრ ქვეყნებთან აკვაკულტურის მდგრადი განვითარების მიზნების შესასრულებლად** - აკვაკულტურის სექტორში **სახელმწიფოს** და მისი რეგულაციური აპარატის **ვალია** საერთაშორისო თანამშრომლობა გააქტიუროს აკვაკულტურის სექტორის **მდგრადი განვითარების თვალსაზრისით**. სამთავრობო ორგანოებისთვის კანონის გამოყენება მდგრადი აკვაკულტურის ხელშესაწყობად არ არის ადვილი ამოცანა და კანონი მხოლოდ ერთია იმ მექანიზმებს შორის, რომლებიც შეიძლება საჭირო გახდეს ამ მიზნის უზრუნველსაყოფად.
  
- ✓ როგორც ზემოთ აღინიშნა, ინდისტრიალიზაციის პარალელურად აკვაკულტურის სექტორში გაჩნდა **ახალი გამოწვევა, გარემოსდაცვითი საკითხი** - აკვაკულტურა აჩენს სამართლებრივ და ინსტიტუციურ საკითხებს, რადგან ის არის საქმიანობა, რომელიც აზიანებს ბუნებრივ რესურსებს. **აკვაკულტურა ურთიერთქმედებს გარემოსთან, არის დამოკიდებული მიწაზე, წყალსა და წყლის სახეობებზე და იწვევს გარემოს ცვლილებებს**. მან ასევე უნდა აწარმოოს პროდუქტი, რომელიც **უსაფრთხოა ადამიანის მოხმარებისთვის შიდა თუ უცხოურ ბაზრებზე**.

- ✓ **პოტენციური და მოქმედი მეწარმეების ინფორმირება** - განვითარებულ ეკონომიკაში სახელმწიფო პოლიტიკა უნდა იყოს ორიენტირებული **მოქმედი თუ პოტენციური მეწარმეებისა ინფორმირებაზე**. მნიშვნელოვანია, რომ მათ მიიღონ უახლესი ინფორმაცია ტექნოლოგიების, ბაზრების და არსებული მდგომარეობის რეალური და კვალიფიციური დასკვნების შესახებ ფორმაცია;
- ✓ **სხვადასხვა ტექნოლოგიური სიახლეების დასაწერად და ფუნქციონირების მხარდასაჭერად გარკვეული საპილოტე პროექტების დანერგვა** - სახელმწიფოს, მისი ფინანსური თუ სხვა სახის შესაძლებლობების გათვალისწინებით, **ფერმერებზე გაცილებით ეფექტურად შეუძლია უახლოესი სამეცნიერო თუ ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვა აკვაკულტურის სფეროში**, რაც რეალურად ხელს შეწყობს აღნიშნული სექტორის შეუქცევად, ეფექტურ და მდგრად განვითარებას. შესაბამისად, გარემოსდაცვით საკითხებში ორი ზემოთაღნიშნული აქტორიდან სახელმწიფოს პასუხისმგებლობა, ბიზნეს სექტორთან შედარებით, გაცილებით მაღალია, განსაკუთრებით ადმინისტრირების საკითხებში. ერთადერთი, რაზედაც აღნიშნული სფეროს ექსპერტები თანხმდებიან არის ის რომ, სახელმწიფომ ამ სექტორში თავისუფალ რეჟიმში არ უნდა მიუშვას პროცესები, რადგანაც, მნიშვნელოვანი ზიანი შეიძლება მოიტანოს აკვაკულტურის არარეგულირებადმა, უკონტროლო განვითარებამ.

სხვადასხვა ქვეყნებში აკვაკულტურის სექტორის განვითარების დინამიკისა და სპეციფიკის ანალიზი აჩვენებს, რომ ქვეყნებმა, სადაც ადგილი ჰქონდა გარკვეულ ხარისხით აკვაკულტურის განვითარებას, შექმნეს საკანონმდებლო ბაზა, რომელიც, ამა თუ იმ გზით, საშუალებას იძლევა გააკონტროლონ აკვაკულტურის საქმიანობაზე ხელმისაწვდომობა და ფუნქციონირება. აკვაკულტურის საქმიანობის მართვისთვის, მათ ასევე დაადგინეს ინსტიტუციურ ჩარჩო და სხვადასხვა ორიენტირები. აკვაკულტურის ობიექტების ფუნქციონირებასთან დაკავშირებით, ასეთი სამართლებრივი ჩარჩო უზრუნველყოფს აკვაკულტურით გამოწვეული დაბინძურების პრობლემის თავიდან აცილების შესაძლებლობას.

შემთხვევითი არ არის, რომ ავსტრალიის სამოქმედო გეგმის შემუშავებაში სათემო და გარემოსდაცვითი ჯგუფების ჩართვის აუცილებლობა წამოიჭრა.

აკვაკულტურის პრაქტიკა სულ უფრო პოპულარული ხდება მთელ მსოფლიოში. თავისი მრავალრიცხოვანი მიზნებით ის ეხმარება საკვების წარმოებას და აღადგენს გადაშენების პირას მყოფ სახეობებს. გარდა ამისა, იგი გახდა გაბატონებული ალტერნატივა, როგორც ცილებით მდიდარი საკვების წყარო, რომელიც გთავაზობთ მრავალფეროვან სარგებელს ჯანმრთელობის პრობლემების ზრდისთვის, როგორცაა მაღალი ქოლესტერინის დონე.

აკვაკულტურის წარმოება სასარგებლოა სხვა სიმძლავრეებშიც. მაგალითად, წყალმცენარეები გაიზარდა, როგორც წიაღისეული საწვავის შემცვლელი და საწვავის ალტერნატიული წყარო, რომელიც არის ენერჯის უფრო სუფთა, უფრო კულტივირებადი წყარო. ამან შეიძლება გამოიწვიოს ენერჯეტიკის სექტორის სრული გადაკეთება და ხელი შეუწყოს ეკონომიკის გაძლიერებას მისი წარმოების ირგვლივ. ანალოგიურად, სხვადასხვა ექსპერიმენტები და კვლევისა და განვითარების ინიციატივები აძლიერებს აკვაკულტურის ზრდას და დიდი შესაძლებლობები არსებობს მომავლისთვის.

# თურქეთი

თურქეთი ტრანსკონტინენტური ქვეყანაა, რომელიც გადაჭიმულია როგორც დასავლეთ აზიაში, ასევე სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში. მისი 8,333 კილომეტრი სანაპირო მოიცავს ოთხ ზღვაზე წვდომას, ასევე აქვს მრავალი შიდა მდინარე და ტბა - რაც ქმნის ძალიან ხელსაყრელ და შესაფერის პირობებს აკვაკულტურის განვითარებისთვის.

თურქეთში აკვაკულტურის კომერციული გამოყენება დაიწყო 1980-იან წლებში, როდესაც მდინარეებში კალმახი მოჰყავდათ. მომდევნო ათწლეულების განმავლობაში ეს სფერო გაფართოვდა და უკვე დაიწყო მრეწველობა გალიების გამოყენებით, როგორც სანაპიროებზე, ასევე წყალსაცავებში. რის შემდეგაც, თევზის წარმოება ასჯერ გაიზარდა (3,075 ტონა - 1986 წელს; 373,400 ტონა 2019 წელს).

თურქეთში ზღვის პროდუქტების 44,6 პროცენტს აკვაკულტურის სექტორში წარმოებული ზღვის პროდუქტი შეადგენს. (9 პროცენტი იყო ეს წილი 20 წლის წინ).

აღსანიშნავია, რომ ნორვეგიის გარდა, ევროპაში აკვაკულტურის წარმოების ზრდის მთავარი მამოძრავებელია თურქეთი.

თურქეთს ამჟამად აქვს 434 მოქმედი საზღვაო აკვაკულტურის ობიექტი. ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში, თურქეთში აკვაკულტურის სექტორის განვითარების მთავარი ფაქტორი ტექნოლოგიური მიღწევების ეფექტური გამოყენება და სამეცნიერო განვითარებაა.

თურქეთის საზღვაო კვლევის ფონდმა (TUDAV) ახლახან გამოსცა წიგნი სახელწოდებით „საზღვაო აკვაკულტურა თურქეთში: წინსვლა და მართვა“. იგი მოიცავს მარიკულტურის ყველა ასპექტს, მათ შორის კანონმდებლობას, დაგეგმვასა და მენეჯმენტს, სახეობების განახლებებს, გამოწვევებს, ინოვაციებს და მომავლის რეალისტურ პერსპექტივებს.

თურქეთში აკვაკულტურის სექტორის განვითარებაზე საუბრისას, აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის, რომ თურქეთის მთავრობა ხელს უწყობს კალმახის მოშენებას შავ ზღვაში. ზღვის კალმახს, რომელსაც ასევე უწოდებენ შავი ზღვის კალმახს, წლიური წარმოება 9700 ტონაა.

ქვეყანაში მრეწველობის მუდმივ ზრდას უზრუნველყოფს 20 საინკუბაციო ქარხანა, 23 საკვების ქარხანა და 200-ზე მეტი ზღვის პროდუქტების გადამამუშავებელი ობიექტი.

რამ განაპირობა თურქეთში აკვაკულტურის სწრაფი და ეფექტური განვითარება?

- ✓ **მთავრობის ძლიერი მხარდაჭერა** - აკვაკულტურის სექტორსა და სოფლის მეურნეობისა და სატყეო მეურნეობის სამინისტროს შორის მჭიდრო ურთიერთობამ გადამწყვეტი როლი ითამაშა ადგილობრივი აკვაკულტურის განვითარების

ხელშეწყობაში. კავშირები კერძო სექტორს, მთავრობასა და უნივერსიტეტებს შორის ძალიან ძლიერია. თურქეთის მთავრობამ უზრუნველყო სექტორი 600 მილიონ ევროზე მეტი სუბსიდიების სახით 2003-2016 წლებში, ამავდროულად, ხელი შეუწყო სექტორში გარემოსდაცვითი მდგრადობის შენარჩუნებას.

- ✓ ტექნოლოგიურ ინოვაციებთან ერთად, ამ სუბსიდიებმა შესაძლებელი გახადა აკვაკულტურის სექტორის მნიშვნელოვანი ზრდა. 2016 წელს აღნიშნული სუბსიდირება ნაწილობრივ შეწყდა, მაგრამ სექტორმა შეძლო დამოუკიდებლად ზრდა.
- ✓ **წესები და რეგულაციები** - თურქეთს აქვს ძლიერი საკანონმდებლო ბაზა აკვაკულტურისთვის, რომელიც ჰარმონიზებულია ევროკავშირის დირექტივებთან და სტანდარტებთან, რაც ხელს უწყობს მისი აკვაკულტურის პროდუქტების 80 პროცენტის ექსპორტს ევროკავშირის ქვეყნებში.
- ✓ აკვაკულტურის ამჟამინდელი რეგულაციები ძალაში შევიდა 2004 წელს, რომლის მიზანი იყო წყლის რესურსების ეფექტიანი გამოყენების, სურსათის უსაფრთხოებისა და აკვაკულტურის პროექტების მთლიანი მდგრადობის გარანტია გარემოს დაცვით.
- ✓ რეგულაციები ასევე აკონტროლებს ფიზიკურ, საწარმოო, სოციალურ და ეკოლოგიურ მდგომარეობას. 2020 წლიდან ყველა ფერმა პასუხისმგებელია გარემოსდაცვითი მართვის დამტკიცებული გეგმების მომზადებასა და შესრულებაზე.
- ✓ **ცოდნა და კვლევა** - თურქეთში აკვაკულტურის ზონები გამოვლინდა მთავრობისა და მსოფლიო ბანკის მიერ ჩატარებული კვლევებით. თურქეთს ასევე აქვს ძალიან განვითარებული სამეცნიერო საზოგადოება, რომელიც სპეციალიზირებულია აკვაკულტურაში. იგი შედგება ხუთი სამთავრობო კვლევითი ინსტიტუტისა და ოთხი საუნივერსიტეტო საზღვაო მეცნიერების ინსტიტუტისგან, რომლებიც უზრუნველყოფენ აუცილებელ ცოდნას სექტორის განვითარებისთვის.

მიუხედავად ყველაფერი ზემოთაღნიშნულისა, თურქეთს, ისევე როგორც სხვა ქვეყნებს, აკვაკულტურის სფეროში აქვს გარკვეული გამოწვევები, მაგალითად, აუცილებელია დაავადებებთან ეფექტური ბრძოლა, თევზის საკვების შედარებით მაღალი ფასი და სხვა.

აღსანიშნავია, ისიც რომ თურქული აკვაკულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა რამდენიმე მსხვილი კომპანის დომინირება, რაც ართულებს მცირე მოთამაშეებს ბაზარზე შესვლას.

თუმცა, მიუხედავად სხვადასხვა გამოწვევებისა, ოფიციალური მონაცემებით, თურქეთი მიზნად ისახავს აკვაკულტურის წარმოებას 600,000 ტონმდე, ექსპორტის ღირებულება 2023 წლისთვის 1,6 მილიონი ევრომდე გაზრდას. ამისათვის კი პირველ რიგში აპირებს თევზის და სხვა სახეობების მრავალფეროვნების გაზრდას ახალი სახეობების განვითარების გზით. ასევე, გეგმავს სხვადასხვა პრობლემების უფრო ეფექტურ გადაჭრას, მაგალითად, როგორცაა საკვების ხარისხი და მოხმარება, ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენება, როგორცაა ავტომატური კვების სისტემები, თევზის მონიტორინგის კამერები, რეალურ დროში წყლის ხარისხის მონიტორინგის სისტემები და ასევე სექტორის გარემოსდაცვითი მდგრადობის გაუმჯობესებას.

როგორც ქვეყანაში ყველაზე სწრაფად მზარდი სექტორი, თურქული აკვაკულტურა შესანიშნავი მაგალითია სხვა ქვეყნებისთვის, რათა განავითარონ მდგრადი აკვაკულტურა და აწარმოონ ხარისხიანი პროდუქცია.



# აკვაკულტურის ისტორია საქართველოში

აკვაკულტურა განვითარების 4000 წლოვან ისტორიას ითვლის, იგი ყოველთვის წარმოადგენდა კაცობრიობის ცილით, მიკროლემენტებითა და ამინომჟავებით გაჯერებული საკვებით უზრუნველყოფის ერთ-ერთ წყაროს, თუმცა მისი სპეციფიურობიდან გამომდინარე ბოლო დრომდე იგი არასოდეს ყოფილა თევზჭერასა და სოფლის მეურნეობის სხვა დარგებზე უფრო მნიშვნელოვანი.

გასული საუკუნის 60-70-იან წლებში ჰიდრობიონტების რეწვის ინტენსიფიკაციასთან დაკავშირებით ნათელი გახდა, რომ მსოფლიო ოკეანის და შიდა წყლების ბიორესურსები ამოუწურავი არაა. აღნიშნულ პერიოდში რეწვის მრავალი ობიექტის მარაგები იმდენად შემცირდა, რომ მათი რესტოკინგისა და რესტორაციის ღონისძიებები ვერ ანაზღაურებდა დანაკარგებს, რის გამოც მრავალი ქვეყანა წყალმცენარეების, მოლუსკების, კიბოსნაირებისა და თევზების აკვაფერმების მოწყობას ინტენსიურად შეუდგა. გასული საუკუნის 80-90-იან წლებში აკვაკულტურა კიდევ უფრო ინტენსიურად ვითარდება.

მე-20 საუკუნის ბოლოს და 21 საუკუნის დასაწყისში აკვაკულტურამ განვითარების არნახულ მასშტაბებს მიაღწია, იგი სოფლის მეურნეობის რიგითი მიმართულებიდან - მძლავრ ინდუსტრიად და ეკონომიკის სექტორად გადაიქცა - ეს მოვლენა „ლურჯი რევოლუციის“ ან „ლურჯი ტრანსფორმაციის“ სახელითაა ცნობილი.

საქართველოში აკვაკულტურის განვითარება 1929 წლიდან იწყება. ინტენსიურად გასული საუკუნის 50-იანი წლების ბოლოდან. ჩვენი ქვეყნის აკვაკულტურის განვითარების მნიშვნელოვანი მომენტებია:

- ✓ საქართველოში 1929 წლიდან ხორციელდებოდა ღონისძიებები თევზის სატბორე მეურნეობების შესაქმნელად. 1929 წელს დაარსდა სააქციო საზოგადოება „საქთევზი“, რომელიც 1930 წელს გადაკეთდა თევზის მრეწველობის სახელმწიფო ტრესტად;
- ✓ საქთევზის მიერ 1932 წელს შეიქმნა პირველი სატბორე თევზის მეურნეობა ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჯაპანაში, ხოლო 1934 წელს გუდაუთის რაიონში, მდინარე მჭიმთაზე (შავწყალაზე) აშენდა შავი ზღვის ორაგულის თევზსაშენი და საკალმახე მეურნეობა (პირველი გამდინარეწყლიანი მეურნეობა საქართველოში);
- ✓ 1951 წელს შავწყალას საკალმახე მეურნეობაში რუსეთიდან შემოყვანილი იქნა ცისარტყელა კალმახი, საიდანაც მომდევნო წლებში ის განასახლეს საქართველოს სხვადასხვა წყალსატევსა და მეურნეობაში (რუისის საკალმახე მეურნეობა და სხვა);
- ✓ 1950-იანი წლების ბოლოდან საქართველოში აკვაკულტურის განვითარება ინტენსიურ ხასიათს იძენს. 1958 წელს „საქთევზი“-ს სისტემაში შეიქმნა სპეციალური ორგანიზაცია:

„თევზმოშენების, მელიორაციის და აკლიმატიზაციის სადგური. აღნიშნულმა სადგურმა გასწია მუშაობა საქართველოს შიდა წყლებში თევზის მომრავლების მიზნით, კერძოდ ჩამოყალიბდა თევზის საინკუბაციო ქარხნები: თბილისის წყალსაცავზე, ტაბაწყურის ტბაზე, სადამოს ტბაზე, ფარავნის ტბაზე, რომლებიც ახდენდნენ ხრამულის, კალმახის, რიპუსის და სიგის ქვირითის ინკუბაციას და გამოჩეკილი ლიფსიტებით სხვადასხვა წყალსატევების დათევზიანებას. მაგალითად ზემოთ აღნიშნულმა საინკუბაციო ქარხნებმა 1962 წელს 12 მილიონი ცალი თევზის ლიფსიტი გაუშვეს საქართველოს ტბებში, წყალსაცავებსა და მდინარეებში;

- ✓ 1962 წელს საქართველოში ჯაპანას და ნოქალაქევის სატბორე მეურნეობაში, ასევე ჯანდარის და ლისის ტბაში, კუმისის წყალსაცავში და სხვა ინტროდუცირებული იქნა თეთრი და ჭრელი სქელშუბლას, ასევე თეთრი ამურის ლიფსიტები. მოგვიანებით, ჯაპანას და ნოქალაქევის სატბორე მეურნეობიდან ის განასახლეს საქართველოს სხვა წყალსატევებსა და თევზმეურნეობებში;
- ✓ 1991-1996 წლებში ქვეყანაში შექმნილმა მძიმე სოციო-ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა პირობებმა ნეგატიური ზეგავლენა მოახდინა თევზის მეურნეობაზე. 1997 წლიდან ქვეყანაში ეკონომიკური და პოლიტიკური სიტუაციის შედარებით დასტაბილურებასთან ერთად განვითარებას იწყებს აკვაკულტურაც. გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლოსა და 2000-იანების დასაწყისში ქვეყანაში აკვაკულტურის - ძირითადად მეკალმახეობის ერთგვარი ბუმი შეინიშნება, თუმცა ეს განვითარება სტიქიური ხასიათის იყო, სრულად მოკლებული იყო სახელმწიფოს მხრიდან ინსტიტუციურ უზრუნველყოფას, რეგულირებას, ზედამხედველობას, ექსტენციას, დარგის სამეცნიერო და საკონსულტაციო მხარდაჭერას. 2007-2008 წლებში საკალმახე ფერმებში ფართოდ გავრცელებულმა სხვადასხვა ვირუსულ-ბაქტერიულმა დაავადებებმა ბევრი მეურნეობის დახურვა და საქმიანობის შეწყვეტა გამოიწვია.
- ✓ საქართველოში მარიკულტურის პირველი ექსპერიმენტული ხასიათის მცდელობები გასული საუკუნის 80-იან წლებში იყო: პირველი ცდები ჩატარდა მიდიებზე „საქაზრავეკსის“ – თანამშრომელების მიერ. ეს იყო მიდიების ექსპერიმენტული გამოზრდა. 1986 წელს ანაკლიის კონცხის მიდამოებში, 1987 წელს მდ. სუფსის შესართავის მიდამოებში, 1989-1990 წლებში გონიოს მიდამოებში, 15 მეტრის სიღრმეზე ჩადგმული იქნა მიდიების კოლექტორი 2000 მ<sup>2</sup>. ეს იყო კვლევითი პროგრამა, მისი მიზანი იყო ლარვების დასახდომის და მიდიების ზრდის ტემპის შესწავლა და რიგი ფიზიოლოგიური ასპექტების კვლევა. 90-იან წლებში ქვეყანაში განვითარებული ცნობილი მოვლენების გამო ეს ფერმები განადგურდა და ამ საქმეს 90-იან წლებში გაგრძელება არ მოჰყოლია.
- ✓ საქართველოში მარიკულტურის განვითარების მცდელობები იყო 2000-იან წლებში. 2005-2009 წლებში, შეიქმნა რამოდენიმე მიდიების მეურნეობა კერძოდ კვარიათის

მიდამოებში შპს „სოლარის“ მიერ ჩაძირული მიდიების ფერმა და გონიოს პოლიგონის მიდამოებში შპს „იბერიან პონტომარინ აქუაქალჩე“ (Iberian Pontomarine Aquaculture) მიერ ჩადგმული იქნა მიდიების კოლექტორები. სამწუხაროდ, ეს მცდელობებიც უშედეგოდ დასრულდა ორივე ფერმა იქნა განადგურებული სხვადასხვა მიზეზების გამო. 2010–2011 წლებში ბათუმის უბეში, მწვანე კონცხთან ჩადგმული იქნა თევზის გალია შპს „იბერიან პონტომარინ აქუაქალჩე“-ს (Iberian Pontomarine Aquaculture) მიერ, იგეგმებოდა ორაგულის მოშენება, თუმცა ეს გალიაც დაზიანდა შტორმის შედეგად და ამ საქმესაც გაგრძელება არ ჰქონია. სამწუხაროდ, დღეს საქართველო ერთადერთი ქვეყანაა შავი ზღვის აუზში, რომელსაც არც ერთი გამართული მარიკულტურის ფერმა არ გააჩნია და ეს დარგი საქართველოში კვლავ ჩანასახის სტადიაში რჩება, თუმცა ბოლო წლებში ძალზედ გააქტიურდა ინტერესი მარიკულტურის მიმართ.

# აკვაკულტურა, როგორც სოფლის მეურნეობის განვითარებადი დარგი (საერთაშორისო რაკურსში)

დღეისათვის აკვაკულტურა სოფლის მეურნეობის სექტორის ყველაზე მზარდი დარგია, უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში საშუალო 8.7%-იანი წლიური ზრდის ტემპით.

2015 წელს მსოფლიოს მოსახლეობამ პირველად ისტორიაში საკვებად მოიხმარა უფრო მეტი აკვაკულტურიდან მიღებული თევზი და თევზეული, ვიდრე ბუნებრივ წყლებში ტრადიციული თევზჭერის შედეგად მოპოვებული.

ამ დროისთვის მსოფლიო აკვაკულტურის წლიურმა პროდუქციამ მიაღწია 102 მილიონ ტონას, რაც თევზისა და თევზეულის მსოფლიო მოხმარების 53% -ს შეადგენდა.

მსოფლიო ბანკის და აკვაკულტურის გლობალური ალიანსის გათვლებით 2030 წლისათვის მსოფლიოს მოსახლეობის თევზისა და თევზეულის საკვებად მოხმარებაში აკვაკულტურის წილი მიაღწევს დაახლოებით 2/3-ს.

FAO-ს მონაცემებით (2018 წ.) თევზის გლობალური მოხმარების ზრდის ტემპი - 3.1% - ია და იგი თითქმის ორჯერ აღემატება მსოფლიო მოსახლეობის ზრდის 1.6%-იან ნიშნულს. თევზის მოხმარება ყოველწლიურად უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე სხვა ცილოვანი პროდუქტების მოხმარება (თევზი - 3.1%, სხვა ცილოვანი პროდუქტები - 2.1%) და ორივე აღემატება მსოფლიო მოსახლეობის ზრდის ტემპს.

# აკვაკულტურის ღირებულება - ეკონომიკურ, სოციალურ და ეკოლოგიურ ასპექტებში

აკვაკულტურა ბოლო წლებში მთელი რიგი ქვეყნების მთლიან შიდა პროდუქტში მნიშვნელოვანი წილითაა ასახული, უზრუნველყოფს მრავალ სამუშაო ადგილს, რეგიონულ განვითარებას, ჯაჭვური პრინციპით - მომიჯნავე ეკონომიკური დარგების/საქმიანობების (თევზის საკონსერვო მრეწველობა, თევზის ფქვილისა და ზეთის წარმოება, თევზის საკვების მრეწველობა, ტურიზმი, სარესტორნო ბიზნესი, სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგები, მათ შორის მარცვლოვნებისა და პარკოსნების წარმოება, ქიმიური მრეწველობის რიგი მიმართულებები, მათ შორის თევზის სამკურნალო და პროფილაქტიკური პრეპარატების, ასევე სასუქების წარმოება და სხვა) პროგრესს, თანმდევი ფისკალური ეფექტებით.

ბოლო წლებში მტკნარი წყლის მაღალტექნოლოგიური აკვაკულტურის დიდი პროგრესი შეინიშნება ისეთ ქვეყნებშიც კი, რომლებიც ხასიათდებიან საკმაოდ მწირი მტკნარი ჰიდრორესურსებით, მაგალითად ავსტრალია, ისრაელი, იორდანია, საუდის არაბეთი, არაბთა გარეთიანებული საამიროები, ირანი, ესპანეთი, სამხრეთ აფრიკა და სხვა.

მდგრადი აკვაკულტურის და მარიკულტურის განვითარება მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი ეფექტის მატარებელიცაა, რადგან ამ მიმართულებით ძირითადად ხდება ისეთი ფორმების კულტივირება, რომლებიც იმყოფებიან გადამენების საფრთხის ქვეშ ან არიან მათთან კომერციული თვალსაზრისით ახლო მდგომი ობიექტები, კერძოდ ზუთხისებრნი (Acipenseridae), ორაგულისებრნი (Salmonidae), ფარგა, ევროპული ლოქო, ქამბალა-კალკანი, დორადო, ლავრაკი და სხვა. ადგილობრივი „ბაზრის“ გაჯერება ზემოთ აღნიშნული ფორმებით მნიშვნელოვნად ამცირებს არალეგალური ჭერის რენტაბელობას თანმდევი ბიო-კონსერვაციული ეფექტით.

აღსანიშნავია, რომ საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმებაში მეთერთმეტე თავი ეთმობა მეთევზეობისა და საზღვაო მმართველობის საკითხებს, რომელიც ასევე მოიცავს აკვაკულტურის განვითარებისთვის აუცილებელი პირობების შექმნის ვალდებულებასაც, სამწუხაროდ, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2014-2021 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმებსა და მისი შესრულების ანგარიშებში არაფერია ნათქვამი ასოცირების ამ ნაწილით აღებული ვალდებულებების შესრულების დინამიკაზე.

2022 წლის 3 მარტს, საქართველომ განაცხადი შეიტანა ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ, იმავე წლის აპრილში კი ევროკომისიამ გამოაგზავნა სპეციალური კითხვარი, სადაც მოითხოვა

ინფორმაცია საქართველოში სხვადასხვა სექტორებსა და სფეროებში არსებულ რეალობასთან დაკავშირებით.

აღნიშნულ კითხვარში აკვაკულტურის მიმართულებით ევროკომისიამ მოითხოვა შემდეგი სახის ინფორმაცია:

- ✓ რა საკანონმდებლო აქტებით რეგულირდება საქართველოში აკვაკულტურასთან დაკავშირებული საკითხები (მაგ: კანონი, კანონქვემდებარე აქტი, ბრძანება, დებულება და ა.შ.);
- ✓ არსებობს თუ არა ქვეყანაში აკვაკულტურის განვითარების სტრატეგია, პოლიტიკის დოკუმენტი ან სამოქმედო გეგმა;
- ✓ არსებობს თუ არა საქართველოში რომელიმე სტრუქტურა ან ინსტიტუცია, რომელიც არის პასუხისმგებელი აკვაკულტურის განვითარებაზე და ადმინისტრაციულ თუ სხვა სახის მენეჯმენტზე;
- ✓ მიმდინარეობს თუ არა ქვეყანაში რაიმე ტიპის სამეცნიერო კვლევა(კვლევები) ან არსებობს თუ არა სამეცნიერო საქმიანობისთვის აუცილებელი ინფრატრუქტურა, რომელიც დაეხმარება მეცნიერებს აკვაკულტურის განვითარებისთვის აუცილებელი კვლევების წარმოებაში;
- ✓ გროვდება თუ არა ბიოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური მონაცემები აკვაკულტურის სფეროში და რა სიხშირით (მიუთითეთ რომელი ცვლადები). თუ კი, ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი მონაცემები გროვდება და რა სიხშირით (გთხოვთ, დააკონკრეტოთ);
- ✓ არის თუ არა აკვაკულტურის მეურნეობები (საზღვაო, მტკნარი წყლის, ხმელეთზე დაფუძნებული) და რა სახეობებია მოშენებული;
- ✓ აკვაკულტურის სექტორში არსებობს თუ არა კონკურენციის წესების გამოყენების სპეციფიკური დებულებები და რომელი;
- ✓ ხდება თუ არა საბაზრო მონაცემების აკვაკულტურის პროდუქტების შესახებ და რომელი;
- ✓ გთხოვთ აღწეროთ, სახელმწიფო რა სახით და რა ტიპის რესურსების გამოყენებით უწყეს დახმარებას აკვაკულტურის სფეროს განვითარებას;

# ევროკავშირის იმპორტის პირობები ზღვის პროდუქტებისთვის

ევროკავშირი (EU) არის მსოფლიოში თევზის, ზღვის პროდუქტებისა და აკვაკულტურის პროდუქტების უდიდესი იმპორტიორი. ამ პროდუქტების იმპორტის წესები ჰარმონიზებულია, რაც ნიშნავს, რომ იგივე წესები ვრცელდება ევროკავშირის ყველა ქვეყანაში.

ევროკავშირის ყველა წევრი სახელმწიფოს სახელით, ევროკომისია არის ერთადერთი მოლაპარაკების პარტნიორი ყველა არაევროკავშირის ქვეყნებისთვის ზღვის პროდუქტებისა და თევზჭერის პროდუქტების იმპორტის პირობებთან დაკავშირებულ საკითხებში.

ევროკომისიის ჯანმრთელობისა და სურსათის უვნებლობის გენერალური დირექტორატი ადგენს თევზჭერის პროდუქტებისა და მოლუსკების იმპორტის პირობებს. ეს წესები ვრცელდება ასევე ევროკავშირის არაწევრ ქვეყნებზეც.

ევროკავშირის არაწევრი ქვეყნები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ევროკავშირში ზღვის პროდუქტებისა და თევზჭერის პროდუქტების ექსპორტით, უნდა იცნობდნენ ევროპის სურსათის კანონის ფუნდამენტური პრინციპებსა და მიდგომებს.

რა არის ევროპის სასურსათო სამართლის პრინციპები – ევროკავშირის მოქალაქეებს აქვთ ლეგიტიმური, მაღალი მოლოდინი მათი საკვების უსაფრთხოებასა და ხარისხთან დაკავშირებით. ამ მოლოდინების დასაკმაყოფილებლად, ევროკავშირის სურსათის კანონმდებლობა ახორციელებს ხარისხის მენეჯმენტისა და პროცესზე ორიენტირებული კონტროლის პრინციპს კვების ჯაჭვის მასშტაბით - თევზსაჭერი გემიდან ან აკვაკულტურის მეურნეობიდან მომხმარებელთა მაგიდამდე. ევროკავშირის მთავარი პრინციპია, რომ მხოლოდ საბოლოო პროდუქტის ადგილზე შემოწმება არ უზრუნველყოფს მომხმარებლისთვის უსაფრთხოების, ხარისხისა და გამჭვირვალობის იმავე დონეს.

თევზჭერის პროდუქტების იმპორტი ევროკავშირში ექვემდებარება ოფიციალურ სერტიფიცირებას, რომელიც ეფუძნება ევროკომისიის მიერ ევროკავშირის არაწევრი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს აღიარებას.

კომპეტენტური ორგანოს სანდოობის ეს ოფიციალური აღიარება არის წინაპირობა იმისთვის, რომ ქვეყანა იყოს უფლებამოსილი და უფლებამოსილი იყოს ექსპორტზე ევროკავშირში.

საჯარო ხელისუფლებამ, რომელსაც აქვს აუცილებელი იურიდიული უფლებამოსილებები და რესურსები, უნდა უზრუნველყოს სანდო ინსპექტირება და კონტროლი მთელი წარმოების ჯაჭვში, რომელიც მოიცავს ჰიგიენის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და, აკვაკულტურის პროდუქტების შემთხვევაში, ცხოველთა ჯანმრთელობის ყველა შესაბამის ასპექტს.

ყველა ორმხრივი მოლაპარაკება და სხვა შესაბამისი დიალოგი თევზჭერის პროდუქტების იმპორტთან დაკავშირებით უნდა განხორციელდეს ეროვნული კომპეტენტური ორგანოს მიერ. ყველა სხვა დაინტერესებული მხარე და კერძო ბიზნესი, რომელთაც სურთ ევროკავშირში ექსპორტის გატანა, უნდა დაუკავშირდნენ მათ კომპეტენტურ ორგანოს, რომელიც თავის მხრივ დაუკავშირდება ევროკომისიას.

თევზჭერის ყველა პროდუქტისთვის, წარმოშობის ქვეყნები უნდა იყოს შესაბამისი პროდუქტის დასაშვები ქვეყნების პოზიტიურ სიაში. დასაშვებობის კრიტერიუმებია:

- ✓ ექსპორტიორ ქვეყნებს უნდა ჰქონდეთ კომპეტენტური ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია ოფიციალური კონტროლის განხორციელებაზე წარმოების ჯაჭვის მასშტაბით. ორგანოს უნდა ჰქონდეს უფლებამოსილება და რესურსები, რათა განახორციელოს ეფექტური ინსპექტირება და უზრუნველყოს სანდო საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და ცხოველთა ჯანმრთელობის ატესტაცია ჯანმრთელობის დაცვის ნაწილშიც;
- ✓ ევროკავშირის არაწევრ ქვეყანაში ვეტერინარულმა სამსახურებმა უნდა უზრუნველყონ ყველა საჭირო ჯანმრთელობის კონტროლის ეფექტიანი აღსრულება და ჯანმრთელობის მონიტორინგის შესაბამისი პროგრამების განხორციელება;
- ✓ კომპეტენტურმა ორგანომ ასევე უნდა უზრუნველყოს შესაბამისი ჰიგიენისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მოთხოვნების დაცვა. ევროკავშირის ჰიგიენის კანონმდებლობა შეიცავს კონკრეტულ მოთხოვნებს გადამამუშავებელ დაწესებულებებთან და საოპერაციო პროცესებთან, გაყინვასთან და შენახვასთან



დაკავშირებით. ეს დებულებები მიზნად ისახავს უზრუნველყოს საკვების უსაფრთხოდ წარმოება და პროდუქტის დაბინძურების თავიდან აცილება გადამუშავების დროს;

- ✓ პროდუქციის იმპორტი შეიძლება ევროკავშირში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი მოდიან საწარმოო ტერიტორიებიდან, რომლებიც დამტკიცებულია კომპეტენტური ორგანოს მიერ და ჩამოთვლილია კომისიის მიერ მის ვებგვერდზე. ექსპორტიორი ქვეყნების კომპეტენტური ორგანოები ვალდებული არიან უზრუნველყონ ამ პროდუქტების კლასიფიკაციისა და წარმოების ტერიტორიების მჭიდრო მონიტორინგი, რათა გამოირიცხოს დაბინძურება ზოგიერთი საზღვაო ბიოტოქსინებით, რომლებიც იწვევენ აკვაკულტურის პროდუქტების მოწამვლას;
- ✓ აუცილებელია ასევე, ნარჩენების მონიტორინგის გეგმა, რომელიც მოიცავს ტესტირებას ვეტერინარული მედიკამენტების, პესტიციდების, მძიმე ლითონებისა და დამაბინძურებლების ნარჩენებზე, რომელიც საჭიროა ევროკავშირის მოთხოვნებთან შესაბამისობის შესამოწმებლად. გეგმა (და წინა წლის მონიტორინგის შედეგები) ყოველწლიურად უნდა წარედგინოს ევროკომისიას დასამტკიცებლად;
- ✓ კომისიის ჯანმრთელობისა და სურსათის აუდიტისა და ანალიზის დირექტორატის აუდიტები ტარდება ზემოთ მოთხოვნებთან შესაბამისობის შესამოწმებლად. აუდიტი ადგენს ნდობას კომისიასა და ექსპორტიორი ქვეყნის კომპეტენტურ ორგანოს შორის.

# აკვაკულტურის მეურნეობების საჭიროებების კვლევა

მიმდინარე ანგარიში წარმოადგენს აკვაკულტურის მეურნეობების საჭიროებების პრაქტიკული კვლევის ანგარიშს, რომელიც ეხება აკვაკულტურის სფეროში არსებულ მდგომარეობას და მეურნეობების საქმიანობისას წარმოშობილ პრობლემებს, წინაღობებსა და გამოწვევებს, ასევე საქმიანობის ეფექტურად განხორციელებისათვის აუცილებელ საჭიროებებს.

კვლევა ჩატარდა საქართველოში მოქმედ აკვაკულტურის მეურნეობებში.

კვლევის ამოცანა იყო აკვაკულტურის მეურნეობების საქმიანობის შესახებ ინფორმაციის შეგროვება და აკვაკულტურის სფეროში არსებული პრობლემების იდენტიფიცირება, ასევე პრაქტიკულ საქმიანობაში ჩართული მენეჯერების პოზიციების შეჯამება და მათი თვალთ დანახული პერსპექტივების განსაზღვრა.

კვლევა ჩატარდა ორგანიზაცია „მწვანე სექტორის“ მიერ.

კვლევის ფარგლებში სავსელ ინტერვიუები განხორციელდა 24 ოქტომბერს - 3 ნოემბერს.

კვლევა ჩატარდა თვისობრივი კვლევის მეთოდების გამოყენებით - შემთხვევითობის პრინციპის საფუძველზე შეირჩა საქართველოში მოქმედი 16 აკვაკულტურის მეურნეობა; ადგილზე განხორციელდა ვიზიტები და წინასწარ მომზადებული საკითხების ირგვლივ ჩატარდა ჩაღმავებული ინტერვიუები. ინტერვიუების დროს დაზუსტდა კვლევაში მონაწილე მეურნეობების შესახებ ინფორმაცია მათი სხვადასხვა ტექნიკური მახასიათებლების შესახებ.

კვლევის ფარგლებში, კვლევაში მონაწილე მეურნეობების შესახებ შეგროვდა შემდეგი სახის ინფორმაცია:

- ✓ მეურნეობის ადგილმდებარეობა - მუნიციპალიტეტი, სოფელი/დაბა/ქალაქი;
- ✓ მფლობელი და მეურნეობის იურიდიული სტატუსი;
- ✓ საკონტაქტო ინფორმაცია;
- ✓ მეურნეობის ტიპი - ოჯახური მეურნეობა ან თუ საწარმო;
- ✓ მეურნეობის საქმიანობის ხანგრძლივობა;
- ✓ დასაქმებულ პირთა რაოდენობა - მათ შორის ქალი / ახალგაზრდა;
- ✓ წყალაღების / წყალჩაშვების ობიექტი (ნაკადული/მიმდინარე);
- ✓ მოშენების ობიექტი/ობიექტები (სახეობა).

კვლევის მეორე ეტაპზე შედგა ჩაღმავებული ინტერვიუები აკვაკულტურის მეურნეობების მფლობელებთან ან/და იმ პირებთან რომლებიც ახორციელებენ აღნიშნულ მეურნეობებში პრაქტიკულ სამენეჯმენტო საქმიანობას.

ინტერვიუების მთავარი მიზანი იყო აკვაკულტურის მეურნეობების მფლობელების ან/და იმ პირების, რომლებიც ახორციელებენ აღნიშნულ მეურნეობებში პრაქტიკულ სამენეჯმენტო საქმიანობას, მოსაზრებების გაგება შემდეგ საკითხებზე:

- ✓ რაში მდგომარეობს და როგორ ნაწილდება მეურნეობის დანახარჯები - მაგ: ქვირითის / ლიფსიტის შექმნა, თევზის საკვების ხარჯი, მუშახელის ანაზღაურება და სხვა;
- ✓ აქვთ თუ არა ინფორმაცია აკვაკულტურის შესახებ კანონის თაობაზე;
- ✓ მიუღიათ თუ არა მონაწილეობა რაიმე ტიპის სტატისტიკური ან თვისობრივი კვლევაში;
- ✓ აკვაკულტურის მეურნეობების პრაქტიკული საქმიანობისას რა ძირითად პრობლემას გამოჰყოფენ;
- ✓ რა მიმართულებით ისურვებდნენ და სად აკლიათ სახელმწიფოს მხარდაჭერა.

**აკვაკულტურის სექტორში არსებული მეურნეობების საჭიროებების კვლევისას მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ რომ გამოიკვეთა შემდეგი მიგნებები:**

აკვაკულტურის მეურნეობების დანახარჯები ნაწილდება შემდეგ საჭიროებებზე:

- ლიფსიტის შექმნა;
- თევზის საკვები ე.წ კორნი;
- თევზის პროფილაქტიკური და სამედიცინო მომსახურება;
- ელექტროენერჯის გადასახადი;
- მუშახელი;

კვლევის ფარგლებში ასევე გამოიკვეთა რომ აკვაკულტურის სფეროში არსებულ რეგულაციებსა და კანონზე აკვაკულტურის შესახებ მეურნეობების მფლობელებისა თუ მენეჯერების აბსოლუტურ უმრავლესობას ინფორმაცია არ აქვთ. ასევე უმრავლესობას არ მიუღია მონაწილეობა რაიმე სახის სტატისტიკურ ან თვისობრივი კვლევაში;

აკვაკულტურის მეურნეობების მფლობელები ან/და მენეჯერები მეურნეობების პრაქტიკული საქმიანობისას გამოყოფენ შემდეგ ძირითად პრობლემებს:

- თევზის ვირუსები და დაავადებები;

- თევზის საკვების მაღალი ფასი;
- ადგილობრივი წარმოების არ არსებობა;
- სამეცნიერო ლაბორატორიების არ არსებობა;
- რეგულარული წყლის მიწოდების პრობლემა;
- წყლის დაბინძურება;
- სამეცნიერო ლაბორატორიის, სამეცნიერო კვლევებისა და იხტიოპათოლოგის არ არსებობა;
- ხელისუფლებისგან უყურადღებობა;
- წყლის ტემპერატურის ცვალებადობა.

**აკვაკულტურის მეურნეობების მფლობელებს ან/და მენეჯერებს სახელმწიფოს მხარდაჭერა ესაჭიროებათ შემდეგი მიმართულებით:**

- ლაბორატორიების შექმნა და თევზის დაავადებებთან ბრძოლა; სპეციალისტების მხარდაჭერა;
- მეურნეობების მფლობელების ან მეურნეობებში დასაქმებული პირების თეორიული გადამზადება;
- გრძელვადიანი და დაბალპროცენტიანი კრედიტები;
- ფერმერების ვიზიტი უცხოეთში და გამოცდილების გაზიარება
- რეალიზაციის მხარდაჭერა სხვადასხვა გზით;
- შეღავათები თევზის საკვების წარმოებასა და/ან ყიდვაზე.

შენიშვნა: აჭარის მაღალმთიან მუნიციპალიტეტში, ქედაში გამოიკვეთა მიწის რეგისტრაციის პრობლემა.


# საქართველოში აკვაკულტურის განვითარების პოტენციალი და ამჟამინდელი მდგომარეობა

საქსტატმა საქართველოში აკვაკულტურის სტატისტიკური კვლევა და დამუშავება 2017 წელს დაიწყო საპილოტე გამოკვლევის, 2018 წლიდან კი ყოველწლიური გამოკვლევის სახით.



საქსტატის მიხედვით საქართველოს აკვაკულტურის ობიექტებია:

- **ორაგულისებრნი** - ცისარტყელა კალმახი, მდინარის კალმახი, ტბის კალმახი, კიჟუჩი, ჩრდილოეთის ორაგული, ევროპული ჭაფალა, პელიადი;
- **კობრისებრნი** - კობრი, სარკისებური კობრი, თეთრი ამური, თეთრი სქელშუბლა, ჭრელი სქელშუბლა;
- **ზუთხისებრნი** - რუსული ზუთხი, ციმბირული ზუთხი, ცქვრინი;
- **ლოქოსებრნი** - ევროპული ლოქო, აფრიკული კლარისებული ლოქო;
- **სხვა** - ქარიყლაპია, ქაშაპი, ქორჭილა, ღორჯო.
- 

აკვაკულტურის საერთო წლიური პროდუქცია ტონებში (წყარო: საქსტატი) მოცემულია დიაგრამა #1-ში.



აკვაკულტურის პროდუქციის სტრუქტურა - ტონებში (წყარო: საქსტატი) მოცემულია დიაგრამა #2-ში, ხოლო სტრუქტურა პროცენტებში საერთო პროდუქციიდან (წყარო: საქსტატი) დიაგრამა #3-ში.




აკვაკულტურის ობიექტებს შორის ყველაზე გავრცელებული სახეობაა ცისარტყელა კალმახი, რომელიც ორაგულისებრთა ოჯახს მიეკუთვნება. თევზის ამ სახეობას მთლიან წარმოებაში 50-62% უკავია, რაც მიუთითებს საქართველოში წარმოებული თევზის სხვადასხვა სახეობების დივერსიფიკაციის დაბალ მაჩვენებელზე. ცისარტყელა კალმახის დომინირების მაღალ მაჩვენებელს რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ის, რომ კალმახი ცივი წყლის თევზია, მთის მდინარეების სიმრავლე კი ხელსაყრელ გარემოს ქმნის ამ სახეობის საწარმოებლად. აქედან გამომდინარე, ფერმერებისათვის უფრო მარტივია ბუნებრივ

პირობებთან ადაპტირება, ვიდრე თევზისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა. გარდა ამისა, ბაზარზე საკმაოდ მაღალია მოთხოვნა ცისარტყელა კალმახზე. ამაზე ერთის მხრივ მეტყველებს ის, რომ მწარმოებლებს თევზის რეალიზაციის პრობლემა ნაკლებად ექმნებათ, მეორეს მხრივ კი ის, რომ იმპორტირებულ თევზში საკმაოდ მაღალია ცისარტყელა კალმახის წილი. მნიშვნელოვანი ფაქტორია ასევე ისიც, რომ კალმახის გამრავლება სხვა სახეობის თევზებთან შედარებით უფრო მარტივია. ცისარტყელა კალმახის ძირითადი მწარმოებელი რეგიონები შიდა ქართლი, გურია და აჭარაა.

ცისარტყელა კალმახის შემდეგ საქართველოში ყველაზე გავრცელებული თევზია კობრი. აკვაკულტურის მთლიან წარმოებაში კობრს დაახლოებით 18% უკავია. ამ სახეობის თევზი ყველაზე ხშირად კახეთში არსებულ წყალსატევებში გვხვდება.


აკვაკულტურის წლიური პროდუქცია რეგიონულ ჭრილში მოცემულია დიაგრამა #4-ში (წყარო საქსტატი). წარმოების უდიდეს ნაწილს იწარმოება კახეთსა და შიდა ქართლის რეგიონებში. ჯამურად, წარმოებული თევზის დაახლოებით 63-67% (2020 და 2021 წელი) სწორედ ამ რეგიონებზე მოდის. ეს ძირითადად განპირობებული ამ რეგიონების სიახლოვით თბილისთან, რომელიც ქვეყანაში მთავარ სარეალიზაციო ბაზარს წარმოადგენს.



აკვაკულტურის სექტორი ძირითადად წარმოდგენილია შინამეურნეობებითა და წვრილი მეწარმეებით, რომელთა წლიური წარმადობა არ აღემატება 8-10 ტონას. ამ მასშტაბის წარმოება ძირითადად სეზონურ ხასიათს ატარებს და ორიენტირებულია გაზაფხული-ზაფხულის პერიოდზე, როდესაც ქვეყანაში ტურისტული ნაკადები იზრდება. შინამეურნეობების შესახებ ოფიციალური სტატისტიკა არ არსებობს, თუმცა ხელმისაწვდომია ინფორმაცია

ოფიციალურად რეგისტრირებული ინდივიდუალური მეწარმეების და იურიდიული პირების შესახებ.

აკვაკულტურის პროდუქცია - ისტორიულ ჭრილში მოცმული დიაგრამა #5-ში. (2017-2021 წლები (წყარო საქსტატი. ლურჯი ფერის სვეტები); 2003 წელი - ექსპერტული შეფასება (წყარო FAO. ყვითელი სვეტი); 1985 წელი - საბჭოთა სტატისტიკური ინფორმაცია (წყარო FAO და საქთევზი. წითელი -სვეტი)).




მსოფლიო ბანკის 2015 წლის მონაცემებით საქართველო აკვაკულტურის (მათ შორის მარიკულტურის) პროდუქციით ბოლოდან მე-3 ადგილზე ევროპაში. ტერიტორიით უფრო მცირე და აკვაკულტურის განვითარების ბევრად ნაკლები პირობების მქონე ქვეყნებშიც კი ამ სექტორის პროდუქცია ჯერადად მეტია საქართველოს პროდუქციაზე, მაგალითად მეზობელი სომხეთისა და ხორვატიის აკვაკულტურის პროდუქცია საქართველოზე დაახლოებით 22-ჯერ მეტია, მოლდოვის თითქმის 13-ჯერ, სლოვაკეთის 2-ჯერ, სლოვენის დაახლოებით 2,5 -ჯერ, კვიპროსისა და მალტის დაახლოებით 8-ჯერ (იხ. დიაგრამა #6 და რუკა #1).

**დიაგრამა #6.**



### Aquaculture production (metric tons)

Units: Metric tons Year: 2015




Source: World Bank

### რუკა #1.

### Aquaculture production (metric tons)

Units: Metric tons Year: 2015



Source: World Bank


წყლის რესურსები საქართველოს ძირითად ბუნებრივ სიმდიდრეს წარმოადგენს. ქვეყნის ტერიტორიის რელიეფური და კლიმატური თავისებურებები, უხვი ატმოსფერული ნალექები და მიწისქვეშა წყლები, განსაკუთრებით შავი ზღვის აუზში - ზედაპირული ჰიდრორესურსების უხვწყლიან და ხშირ ქსელს განაპირობებს.

საქართველო, ერთ სულ მოსახლეზე განახლებადი შიდა მტკნარის წყლის რესურსებით მე-5 ადგილზეა ევროპაში ისლანდიის, ნორვეგიის, რუსეთის ფედერაციის და ფინეთის შემდეგ. წლის განმავლობაში ფორმირებული მტკნარის წყლის ფენის საშუალო სიმაღლით ევროპის კონტინენტზე და ახლო აღმოსავლეთში საქართველო მხოლოდ ნორვეგიას, ავსტრიას და შვეიცარიას ჩამორჩება (იხ. რუკა #2).

**რუკა #2.**

**Renewable internal freshwater resources per capita (cubic meters)**

Units: m<sup>3</sup> Year: 2014



Source: World Bank

საქართველოში 26 060 მდინარე და ნაკადულია (69,5% შავი ზღვის, ხოლო 30,5% კასპიის ზღვის აუზის) რომელთა საერთო სიგრძე დაახლოებით 60 ათას კილომეტრს შეადგენს. საქართველოში ტერიტორიის რთული რელიეფური დანაწევრების შედეგად არ გვხვდება დიდ სიგრძისა და აუზის მქონე მდინარეები. აქ მდინარეთა დიდ ნაწილი მთის ტიპისაა. საქართველოს ჰიდროგრაფიული ქსელის საფუძველს 25-კმ-ზე მოკლე სიგრძის მქონე მდინარეები წარმოადგენენ, მათი რაოდენობა მდინარეთა და ნაკადულთა საერთო რაოდენობის 99,4%-ია. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მდინარეები თავის სიგრძისა

და აუზის მიხედვით პატარანი არიან, ისინი წარმოადგენენ უხვწყლიან მდინარეებს, ხასიათდებიან დიდ ვარდნით, ჩქარი დინებით, მიედინებიან ვიწრო და ღრმა ხეობებში. მთის ტიპის, მცირე ზომის, უხვწყლიანი და წყალშემკრები აუზის რთული რელიეფის მქონე მდინარეები უმეტესად მოკლებულია ინდუსტრიულ და პოპულაციურ პრესს, ხასიათდებიან კარგი წყლის ხარისხით, რაც ქმნის კარგ პირობებს (ზედაპირულ წყლებზე ბაზირებული) გამდინარეწყლიანი (raceway) აკვაკულტურის განვითარებისთვის.

საქართველო, მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი გენეზისის მქონე პატარა ტბების (ტბების ნახევარზე მეტის ფართობი 10 ჰექტარზე ნაკლებია) ქვეყანაა, აქ დაახლოებით 856 ტბაა, მათი სარკის ჯამური ფართობი 17 000 ჰექტარს შეადგენს (170 კმ<sup>2</sup>). საქართველოში დღეისთვის ექსპლუატაციაშია 47 წყალსაცავი, მათში აკუმულირებულია ქვეყნის წყლის რესურსების მნიშვნელოვანი ნაწილი. წყალსაცავების სარკის ჯამური ფართობი დაახლოებით 25 000 ჰექტარია (250 კმ<sup>2</sup>). მსხვილ ტბებსა და წყალსაცავებში თევზსაშენ გალიებზე ბაზირებული აკვაკულტურის (Cage Based Aquaculture) და ექსტენსიური (სანასუქე) აქუაკულტურის განვითარების კარგი პირობებია.

კოლხეთის დაბლობის ტბები (პალიასტომი, ნურიე, ინკითი, ბებესირი და სხვა) ბუნებრივი თევზპროდუქტიულობის მიხედვით ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე პროდუქტიულ (ფართობის ერთეულზე) წყალსატევების წარმოადგენდნენ.

ჯავახეთის ვულკანური პლატოს ტბები (ფარავანი, საღამო, ბუღდაშენი) ზ. დ. 1900-2000 ბმეტრზე მეტ ჰიპსომეტრულ ნიშნულებზე განლაგებულ წყალატევთა შორის ბუნებრივი თევზპროდუქტიულობის (ფართობის ერთეულზე) მიხედვით ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე პროდუქტიულ წყალსატევებს წარმოადგენდნენ.

საქართველოს თევზსაშენი ტბორების ექსტენსიური გამოზრდის თევზპროდუქტიულობის მაჩვენებლები (ჯაპანის, კახაბრის, ნოქალაქევის ტბორები და სხვა) ერთ-ერთი საუკეთესო იყო ევროპაში (ფართობის ერთეულზე).

საქართველოს მდიდარია მიწისქვეშა წყლებით, რაც მის ტერიტორიაზე მოსული უხვი ატმოსფერული ნალექებითაა (93,3 კმ<sup>3</sup>-ს წელიწადში) განპირობებული. უკანასკნელი მონაცემებით, საქართველოს მიწისქვეშა წყლების ბუნებრივი რესურსების მარაგი 21,7 კმ<sup>3</sup>-ს. არამინერალიზებული მიწისქვეშა წყლები სამრეწველო მასშტაბებით მოპოვება შესაძლებელია საქართველოს უმრავლეს რეგიონში, რაც ქმნის ხელსაყრელ პირობებს რეცირკულაციური - ინდუსტრიული აკვაკულტურის განვითარებისთვის. არამინერალიზირებული თვითდენადი-წყალწნევიანი მიწისქვეშა წყლის რესურსების არსებობის არეალში (ალაზნის ველი, შიდა ქართლის ვაკე, კოლხეთის ვაკის ნაწილი და სხვა) გარდა ზემოთ აღნიშნულისა - გამდინარეწყლიანი (raceway) აკვაკულტურის (მიწისქვეშა წყლებზე ბაზირებული) განვითარების ხელსაყრელი პირობებია.

საქართველოს შავი ზღვის სანაპირო გამოირჩევა საზღვაო აკვაკულტურის (მარიკულტურის) განვითარების კარგი პირობებით, რასაც განაპირობებს: ევტროფიკაციის დაბალი დონე, კარგად გამოხატული ზღვის ნაპირგასწვრივი ნაკადები და შესაბამისად წყლის კარგი ცირკულაცია, შედარებით მაღალი მარილიანობა, კარგი თერმული რეჟიმი - ყინულოვანი მოვლენების არარსებობა, ვიწრო კონტინენტური შელფი - მაღალ სიღმეების სიახლოვე ნაპირის ხაზთან და სხვა. საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზოლის სიგრძეა - 309 კმ. ტერიტორიული ზღვის (TS) ფართობია - 6 255 კმ<sup>2</sup>. ექსკლუზიური ეკონომიკური ზონის (EEZ) ფართობია - 22 765 კმ<sup>2</sup> (შავი ზღვის სარკის ფართობის დაახლოებით 5%). კონტინენტური შელფის ფართობია - 2 467 კმ<sup>2</sup> (იხ. რუკა #3).

რუკა #3.



აკვაკულტურის განვითარების პოტენციალს, გარდა ხელსაყრელი ბუნებრივი პირობებისა, მნიშვნელოვანად განაპირობებს ასევე შემდეგი გარემოებები:

- ✓ ბოლო წლებში საქართველოში ყოველწლიურად იმპორტირდება დაახლოებით 22 000 - 30 000 ტონა თევზი (გაყინული, გაცივებული, გამხმარი, დამარილებული, შებოლილი, პრესერვი, პასტერიზირებული კონსერვი), რისი პოტენციური ჩანაცვლება შეუძლია ადგილობრივ აკვაკულტურას;
- ✓ ყოველწლიურად იზრდება საერთაშორისო ტურისტებისა და ვიზიტორების რაოდენობა. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ინფორმაციით, 2019 წელს საქართველოში შემოსული ვიზიტორების რაოდენობა, რომელიც ტურისტებთან

ერთად, ტრანზიტს და სხვა კატეგორიებს მოიცავს, 9,4 მილიონი შეადგინა. 2022 წლისათვის შესაძლოა საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობამ 10 მილიონს გადაჭარბოს;


- ✓ თევზისა და თევზეულის მოხმარება იზრდება ადგილობრივ მოსახლეობაშიც, მოსალოდნელია ზრდის ტენდენციის შენარჩუნება მომდევნო წლებშიც;
- ✓ ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების არსებობა ქმნის ხელსაყრელ გარემოს აკვაკულტურის პროდუქციის ექსპორტისათვის ევროკავშირის ქვეყნებში, სადაც მზარდი მოთხოვნაა ორგანული აკვაკულტურის პროდუქციაზე;
- ✓ აკვაკულტურის პროდუქციაზე მაღალი მოთხოვნაა ყოფილი საბჭოთა კავშირის და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებშიც.


2021 წლის საქსტატის საპილოტე შეფასებით საქართველოს აკვაკულტურის პროდუქცია 2861 ტონის ფარგლებშია. მოკრძალებული ექსპერტული გათვლებით საქართველოს გააჩნია ყველანაირი პირობა, რომ შესაბამისი ნაბიჯების გადადგმის შემთხვევაში, უახლოეს წლებში აკვაკულტურის პროდუქცია გაზარდოს 2800 ტონიდან - არანაკლებ 30 000 ტონამდე, ანუ დაახლოებით 11-ჯერ, შემდგომი ზრდის პერსპექტივით (იხ. დიაგრამა #7 და #8):

- ✓ მარიკულტურის პოტენციური არსებული ვითარების გათვალისწინებით (საინვესტიციო ინტერესი, აფხაზეთის ოკუპაცია, პორტები, ტერმინალები, რეკრეაცია, თევზჭერის უბნები) შეადგენს არანაკლებ 10 000 ტონას;
- ✓ ხმელეთზე ბაზირებული რეცირკულაციური მარიკულტურის პოტენციური არსებული ვითარების გათვალისწინებით (საინვესტიციო ინტერესი, აფხაზეთის ოკუპაცია, პორტები, ტერმინალები, რეკრეაცია, დასახლებული პუნქტები ინფრასტრუქტურა) შეადგენს არანაკლებ 5 000 ტონას;
- ✓ შიდა წყლების ექსტენსიური აკვაკულტურის პოტენციური შეადგენს დაახლოებით 2500 ტონას (საქართველოს შიდა წყსატევეებში სტატისტიკური (ოფიციალური) ჭერილები 1975 – 1983 წლებში 1800–დან 2200 ტონამდე მერყეობდა).
- ✓ შიდა წყლებში თევზსაშენ გალიებზე ბაზირებული აკვაკულტურის პოტენციური (ამისათვის გამოსადეგი წყალსატევეების და მათი უბნების გათვალისწინებით) შეადგენს არანაკლებ 5000 ტონას;
- ✓ სატბორე აკვაკულტურის პოტენციური არსებული ვითარების გათვალისწინებით (ექსპლუატირებადი ტბორების საერთო ფართი დღეისათვის 2225 ჰექტარს შეადგენს (საქსტატის საპილოტე შეფასებით), ხოლო არაექსპლუატირებადი ტბორების ფართობი დაახლოებით 1800 ჰექტარს, სულ დაახლოებით 4000 ჰექტარს) შეადგენს არანაკლებ 2000 ტონას (ექსტენსიური და სემიინტენსიურის გამოზრდის შემთხვევაში, ხოლო სრულად ინტენსიურის შემთხვევაში ბევრად მეტს);
- ✓ გამდინარეწყლიანი აკვაკულტურის პოტენციური ძალზედ დიდია, მოქმედი მეურნეობების სრული დატვირთვის, დახურული მეურნეობების ამოქმედების და

ასევე დაგეგმილი მეურნეობების ამუშავების შემთხვევაში პროდუქცია იქნება არანაკლებ 5000 ტონა, შემდგომი ზრდის დიდი პოტენციალით.

- ✓ მტკნარის წყლის რეგირკულაციური აკვაკულტურის პოტენციური ძალზედ დიდია, დახურული მეურნეობების ამოქმედების და საინვესტიციო ინტერესის გათვალისწინებით პროდუქცია მიაღწევს არანაკლებ 500 ტონას, შემდგომი ზრდის დიდი პოტენციალით.





### თევზისა და თევზეულის მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე საქართველოში


FAO ბოლო კვლევების მიხედვით, თევზის წარმოება მსოფლიოში ბოლო 50 წლის განმავლობაში განუხრელად იზრდება. თუ 60-იან წლებში საშუალო მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე 9,9 კგ იყო, 2012 წელს ის 19,2 კგ-მდე გაიზარდა.

ბოლო წლებში საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე წლის განმავლობაში მოხმარებული თევზისა და თევზეულის ოდენობა შეადგენს დაახლოებით 8 კგ-ს: დაახლოებით 5500 ტონა ბუნებრივი თევზჭერილის საკვებად მოხმარება, 2800 ტონა აკვაკულტურის პროდუქცია, 22 000 ტონა იმპორტირებული თევზი და თევზეული, სულ 30 300 ტონა / მოსახლეობა 3.8 მილიონი) ტურიზმისა და საერთაშორისო ვიზიტორების გათვალისწინების გარეშე.

საერთაშორისო ნორმატივების მიხედვით ადამიანის მიერ წლის განმავლობაში მოხმარებული თევზისა და თევზეულის ოდენობა უნდა შეადგენდეს 19-25 კილოგრამს - ასაკის შესაბამისად, საშუალოდ 22 კილოგრამს – „Rational norms of food consumption for people of working age“, რაც საქართველოს შემთხვევაში 2,75- ჯერ ნაკლებია.

ერთ სულ მოსახლეზე თევზის მოხმარება (კგ/წელიწადში) მოცემულია დიაგრამა #9-ში. (წყარო: FAO, 2018 წ.).

## დიაგრამა #9.



Euromonitor-ის მონაცემებით, 2017 წელს საქართველოში თევზის მოხმარება 10.8 აშშ დოლარი/წელიწადში და 8.04 კგ/წელიწადში იყო. ეს მაჩვენებელი თითქმის ორჯერ ჩამორჩება მსოფლიო, ევროპულ და განვითარებადი ქვეყნების მონაცემებს და სტატისტიკური ცდომილების ფარგლებში, დაბალშემოსავლიანი სურსათის დეფიციტის მქონე ქვეყნების მონაცემსაც კი.

საქართველოში თევზის ყველაზე მაღალი მოხმარება 1990-იან წლებში იყო. ამის შემდეგ შეინიშნებოდა მკვეთრი შემცირება, რაც ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობით შეიძლება აიხსნას. 2000-2017 წლებში საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე თევზის წლიური მოხმარება 9-ჯერ გაიზარდა, 0.9 კგ-დან 8.04 კგ-მდე.



# თევზის წარმოების პერსპექტივები - ევროინტეგრაციის კონტექსტში - ევროპული ბაზარი აკვა-პროდუქციისთვის - შესაძლებლობის გამოყენების მექანიზმები

FAO-ს მონაცემებით თევზპროდუქტების მისი ყველაზე დიდი მომხმარებლები და იმპორტიორები არიან: ევროკავშირი, ჩინეთი, აშშ და იაპონია. ბოლო წლებში ევროკავშირში თევზპროდუქტების იმპორტმა 47 მილიარდ დოლარს მიაღწია.

დღეისათვის ევროკავშირი 450 მილიონი მოსახლეობით (დიდი ბრიტანეთის გამოკლებით) წარმოადგენს მსოფლიოს ყველაზე დიდი ბაზარის - ჩინეთის შემდეგ. ევროკავშირში თევზის წლიური მოხმარება დაახლოებით (პროდუქციას+იმპორტი) 14 მილიონი ტონაა.

ცხოველური წარმოშობის რიგით მეხუთე პროდუქტი, რომლის ევროკავშირის ბაზარზე შეტანის უფლებაც საქართველომ მოიპოვა - აკვაკულტურა (კალმახი) გახდა. ამ დრომდე საქართველოდან ცხოველური წარმოშობის ორი არასასურსათო (ტყავი, მატყლი) და ორი სასურსათო (თაფლი, ქაფშია) პროდუქტის ევროკავშირში შეტანაა ნებადართული.

ევროკავშირის არაწევრი ქვეყნებიდან ცხოველური წარმოშობის სასურსათო პრო

დუქტის ექსპორტისთვის აუცილებელი მოთხოვნაა ქვეყნის დამატება მესამე ქვეყნების სიაში, საიდანაც ასეთი პროდუქტების ექსპორტი შესაძლებელია.

ევროკავშირში ცხოველური წარმოშობის სასურსათო პროდუქტის ექსპორტის მოთხოვნები ვრცელდება აკვაკულტურაზე და ამასთანავე დადგენილია გარკვეული სპეციფიური მოთხოვნებიც. კერძოდ, ცოცხალი თევზი, ქვირითი და ორსაგდულიანი მოლუსკები ჯანმრთელობის მოთხოვნებს (ჰიგიენისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის მოთხოვნებს) უნდა აკმაყოფილებდნენ, რაც სახელმწიფოს მიერ განხორციელებული კონტროლის შედეგებით უნდა დადასტურდეს. სურსათის ეროვნული სააგენტო უნდა იძლეოდეს გარანტიას, რომ პროდუქტი და მისი წარმოება ჰიგიენისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის მოთხოვნებს შეესაბამება.

ევროკავშირში ექსპორტის უფლების მოსაპოვებელი პროცედურები ასეთია:

- ✓ სურსათის ეროვნული სააგენტო (სეს) წარადგენს ოფიციალურ განაცხადს ევროკომისიის ჯანმრთელობისა და სურსათის უვნებლობის გენერალურ დირექტორატში (DG SANTE);
- ✓ DG SANTE სეს-ს უგზავნის კითხვარს, რომელიც კანონმდებლობას, სეს-ის შესაძლებლობებს, ჰიგიენას და სხვა ელემენტებს ეხება;
- ✓ სეს-ი ავსებს კითხვარს და DG SANTE-ს უგზავნის;
- ✓ აღიარებისთვის, ამავე ეტაპზე, სეს-მა ევროკომისიას უნდა წარუდგინოს ნარჩენების მონიტორინგის გეგმა;
- ✓ წარდგენილი ინფორმაციის შეფასების შემდეგ ევროკომისიას შეუძლია ადგილზე შემოწმების განხორციელება. ადგილზე შემოწმება სავალდებულოა მაღალი რისკის პროდუქტების - კიბოსნაირების მიმართ;
- ✓ ამ პროცედურების შემდეგ DG SANTE წარადგენს რეკომენდაციას, რომ ქვეყანა დაემატოს მესამე ქვეყნების პოზიტიურ სიას, ასევე წარადგენს სეს-ის მიერ გადაგზავნილ აღიარებული საწარმოების ნუსხას;
- ✓ ბოლო ეტაპზე კი გადაწყვეტილებას ყველა წევრი სახელმწიფოს წარმომადგენელი იღებს.


ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების (DCFTA) ფარგლებში, ქართულ პროდუქციას უზარმაზარ ბაზართან წვდომის საშუალება მიეცა. ანგარიშგასაწევია ის ფაქტიც, რომ თევზეულის ექსპორტში განვითარებადი ქვეყნების წილი შესამჩნევად იზრდება და უკვე ნახევარს აჭარბებს. მათი დაწინაურება პროდუქციაზე დაბალმა ფასებმა და განვითარებულ სახელმწიფოებში საბაჟო ტარიფების შემცირებამ განაპირობა. ძვირმა სამუშაო ძალამ და გარემოს დაცვაზე არსებულმა მკაცრმა რეგულაციებმა ევროკავშირში თევზის წარმოება არაკონკურენტუნარიანი გახადა და დარგის სტაგნაცია გამოიწვია. აქედან გამომდინარე, საქართველოს ევროპაში ექსპორტირების შანსი უზრუნველდება იმ შემთხვევაში თუ ქვეყანაში აკვაკულტურების დარგი სათანადოდ განვითარდება.

ევროკავშირის მიერ საქართველოს აკვაკულტურების აღიარების შემდეგ, მეწარმეებს ახალი შესაძლებლობების ფანჯარა გაეხსნებათ 450 მილიონიანი ბაზრის სახით, თუმცა ქართველ მეწარმეებს ჯერჯერობით ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაც არ შეუძლიათ.

ტბის თევზი და კალმახი ევროპაში საკმაოდ მოთხოვნილი პროდუქტია, მაგრამ ქართული აკვაკულტურის პროდუქტები აღიარების გარეშე ევროკავშირის ბაზარზე ვერ მოხვდება. იმისთვის, რომ აღიარების გზაზე ქვეყანამ წინ წაიწიოს, პირველ რიგში დარგის მარეგულირებელი კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოებაა

საჭირო. სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქართველოდან ევროკავშირში აკვაკულტურების პროდუქტების ექსპორტის უფლების მოპოვებისთვის სამოქმედო გეგმა აქვს, სადაც რეგულაციების დაახლოების ბოლო ვადად 2022 წელია განსაზღვრული.

### თევზის პროდუქტების ექსპორტი ევროკავშირში



# აკვაკულტურის შემაფერხებელი გარემოებები და ძირითადი პრობლემური საკითხები

ბოლო წლებში „ლურჯი რევოლუციის“ შედეგად აკვაკულტურა ბიო-ტექნოლოგიურად იმდენად განვითარდა, რომ ის შესაძლებლობას იძლევა ინსტალირდეს და რენტაბელურად იფუნქციონიროს ფაქტიურად ყველგან - სადაც არსებობს მასზე მოთხოვნა, ისევე, როგორც საშუალებას იძლევა აქცენტირდეს ადგილობრივ კლიმატურ და ეკოლოგიურ პირობებთან შეუსაბამო სახეობებზეც.

თანამედროვე აკვაკულტურაში ხელსაყრელი გარემო პირობები საქმიანობის რენტაბელობის არა განმსაზღვრელი, არამედ მისი ზრდის ფაქტორია.

თანამედროვე აკვაკულტურა უფროდაუფრო ნაკლებდაა ორიენტირებული იმპორტზე, მოთხოვნა გაყინულ, კონსერვირებულ თევზსა და თევზეულზე იკლებს - საპირისპიროდ იზრდება მოთხოვნა „ცოცხალ“ და „გაცივებულ“ თევზზე, სწორედ ამიტომ, თანამედროვე აკვაკულტურის ერთერთი „პოსტულატია“: - „თევზს აშენებენ იქვე - სადაც თევზს მიირთმევენ“.

მსოფლიოში არსებული ტრენდები გვიჩვენებს, რომ ზღვასა და შიდა წყლებში დაჭერილი თევზის წილი თევზის მთლიან წარმოებაში განუხრელად მცირდება, ხოლო აკვაკულტურის პროდუქციის წილი განუხრელად იზრდება. აკვაკულტურა სულ უფრო და უფრო მყარად იკიდებს ფეხს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში და საქართველოშიც ხშირად საუბრობენ მისი განვითარების მაღალ პოტენციალზე. საქართველო წყლის რესურსით მდიდარი ქვეყანაა, რაც ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია ამ დარგის განსავითარებლად.

**თანამედროვე აკვაკულტურას „ამოძრავებს“ ოთხი დრაივერი:**

1. ნორმატიული (გამართული ნორმატიული ბაზა);
2. ინსტიტუციური (ეფექტური ინსტიტუცია);
3. პროფესიული (ეფექტური პროფესიული განათლება);
4. სამეცნიერო-საკუნსულტაციო (კომპეტენტური ქონსალთინგი და სამეცნიერო მხარდაჭერა).

ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესახებ ზემოთ აღნიშნული „დრაივერების“ მიხედვით:

1. **ნორმატიული** - 2021 წლის 24 ივნისს საქართველოს მიიღო კანონი „აკვაკულტურის შესახებ“. 2021 და 2022 წლებში მიღებული იქნა ამავე კანონით განსაზღვრული რიგი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები. დარგი, რომელიც 2020 წლამდე რეგულირების

და ნორმატიული ბაზის გარეშე არსებობდა, ამ კანონით იმდენი ვალდებულება, ბიუროკრატიული ბარიერი და გადასახადი დაუწესდა, რომ დღეს მოქმედი ფერმების უდიდესი ნაწილი მას უბრალოდ ვერ დაძლევა.

2. **ინსტიტუციური** - აკვაკულტურას გააჩნია სუსტი ინსტიტუციური ბაზა, ფუნქციათა და პასუხისმგებლობათა მკაფიო გამიჯნვის გარეშე. დარგის პოლიტიკის განმსაზღვრელი და მარეგულირებელი უწყებებია: ბიომრავალფეროვნების და სატყეო პოლიტიკის დეპარტამენტი. ტექნიკური საკითხები: ნებართვების გაცემა და მინიტორინგის ფუნქციები გადანაწილებულია გარემოს ეროვნული სააგენტოს ორ სტრუქტურაში: ლიცენზირების დეპარტამენტში და მეთევზეობის, აკვაკულტურის და წყლის ბიომრავალფეროვნების დეპარტამენტში, აღსანიშნავია, რომ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სტრუქტურისთვის აკვაკულტურა წარმოადგენს ხმოლოდ ერთ-ერთ მიმართულებას, სხვა მრავალ მიმართულებასთან ერთად. აუცილებელია სამინისტროს შემადგენლობაში დამოუკიდებელი სტრუქტურის ფორმირება და ამ სტრუქტურაში, სფეროში არსებული პასუხისმგებლობების, ფუნქციების და რეგულირების სიმძიმის ცენტრის გადატანა.
3. **პროფესიული** - საქართველოში არ წარმოებს აკვაკულტურის ექსტენცია, არარსებობს აკვა-ფერმერთა ტრენინგ-ცენტრები, არაა დანერგილი პროფესიული სწავლების მოდულები და პროგრამა. მთავარი პრობლემა, რაც დღემდე აქტუალურია არა მხოლოდ აკვაკულტურისთვის, არამედ ეკონომიკის თითქმის ყველა დარგებისთვის, არის სათანადო ცოდნის დეფიციტი. ფერმერების/მეწარმეების უმეტესობა მეურნეობებს ჯერ კიდევ ტრადიციული მეთოდებით მართავს და აქვთ შეზღუდული წვდომა (ან საერთოდ არ აქვს წვდომა) თანამედროვე ტექნოლოგიებთან. ფერმერების დაბალი ცნობიერების შედეგია ის, რომ ბევრი მათგანი ჯერ კიდევ არასწორ მეთოდებს იყენებს თევზის წარმოების პროცესში, არ აქვთ გრძელვადიანი ხედვა და მოკლევადიან შედეგებზე არიან ორიენტირებულები. მათი საქმიანობა ხშირ შემთხვევაში ექსპერიმენტის სახეს ატარებს და შედეგები გამართლებაზეა დამოკიდებული. სწორედ ეს არის იმის მიზეზი, რომ ძალიან ბევრი ფერმერული მეურნეობა საქმიანობის დაწყებიდან მოკლე პერიოდში წყვეტს ეკონომიკურ აქტივობას. მაგალითისათვის, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში წლების წინ 100-ზე მეტი საკალმახე მეურნეობა ფიქსირდებოდა, დღეს კი მხოლოდ 10-მდე მათგანი არის აქტიური. მწარმოებლები ვერ ახერხებენ კვალიფიციური კონსულტაციის მიღებას თევზის დაავადებებთან დაკავშირებით, აღნიშნული კრიტიკულად მნიშვნელოვანია წარმოების ეფექტურად სამართავად. მსხვილ მწარმოებლებს აქვთ იმის შესაძლებლობა, რომ კონსულტაციები მიიღონ უცხოელი ექსპერტებისგან, თუმცა ეს იმდენად დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული, რომ მცირე მწარმოებლებისთვის ეს ყოველივე მიუწვდომელია. როგორც აღინიშნა, საქართველოში არსებულ წყალსატევებში ყველაზე მეტად გავრცელებული თევზი ცისარტყელა კალმახია. ეს სახეობა ერთ-ერთი ყველაზე მოწყვლადი თევზია სხვადასხვა დაავადებებისადმი, რის გამოც არასათანადო

პირობებში მათი სიკვდილიანობის მაჩვენებელი მაღალია. როდესაც თევზს უჩნდება ესა თუ ის დაავადება, მოსალოდნელი ფინანსური ზარალის შიშით, ფერმერი ცდილობს, რომ როგორმე გადაარჩინოს მეურნეობაში არსებული თევზი - კონკრეტულ დაავადების იდენტიფიცირების გარეშე - ფერმერები ხშირ შემთხვევაში ზედოზირებით იყენებენ სხვადასხვა ანტიბიოტიკებს, რამაც შესაძლოა დროებით უზრუნველყოს თევზის გადარჩენა, თუმცა ეს ქიმიკატები რჩება თევზის ხორცში, რომელსაც უკვე შემდგომ მომხმარებელი იღებს. სასურსათო უსაფრთხოების თვალსაზრისით ეს საკმაოდ კრიტიკული საკითხია.

4. **სამეცნიერო-საკონსულტაციო** - საქართველოში არარსებობს მეთევზეობისა და აკვაკულტურის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება ან/და საკონსულტაციო ცენტრი. არარსებობს იქთიოპათოლოგიური ლაბორატორია, კვალიფიციურად არ მიმდინარეობს დაავადებათა იდენტიფიცირება, პროფილაქტიკური და სამკურნალო ღონისძიებების კონსულტირება. არ მიმდინარეობს აკვაკულტურის სექტორისთვის ადგილობრივ სხვადასხვა გეო-ეკოლოგიური პირობებთან კარგად ადაპტირებადი, ბიოლოგიურად მედეგი ჩასასმელი მასალის მიწოდება, ექსტენსიური აკვაკულტურის უზრუნველყოფა გენეტიკურად „სუფთა“, კარგი ბიო-ეკოლოგიური და გეოგრაფიული საადაპტაციო უნარების მქონე ჩასასმელი მასალით. არ მიმდინარეობს ჩასასმელი მასალის მრავალფეროვნების უზრუნველყოფა, რომელიც მოიცავს საქართველოს სხვადასხვა ეკოლოგიური პირობებთან ადაპტირებად, წყალსატევებში სხვადასხვა ეკოლოგიური ნიშის და ტროფული დონის ეფექტურად ამთვისებელ ფორმებს, ასევე არ მიმდინარეობს საჯიშე და სასელექციო საქმის წარმოება. ლაბორატორიული კვლევა ვერ განხორციელება იმ მაჩვენებლებზე, რომლებიც მოცემულია ევროკავშირის მიერ მესამე ქვეყნებისათვის გაწერილ გაიდლაინში. ამ გაიდლაინში ზუსტად არის მითითებული, რომელი ჯგუფის რა ვეტერინარული პრეპარატისა თუ ქიმიური დამაბინძურებლის განსაზღვრა უნდა მოხდეს სურსათში (თევზში), ესენია ძირითადად სხვადასხვა ჯგუფის 38 მაჩვენებელი: სტილბენები, სტეროიდები, ანტიმიკრობული საშუალებები, ნიტროფურანები, ნიტროიმიდაზოლები, ანტიჰელმინთები, ქლორორგანული ნაერთები, მძიმე მეტალები და საღებავები. საქართველოში არსებული ლაბორატორიები ზოგ შემთხვევაში ვერ იკვლევენ ყველა მოთხოვნილ მაჩვენებელს (მაგალითად საღებავებს) ან/და არ აქვთ აკრედიტებული კვლევის დამადასტურებელი მეთოდი, რაც სავალდებულოა.

# თევზსაშენი მეურნეობების საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობის მიმოხილვა

აკვაკულტურის მთვარი განმსაზღვრელი და მარეგულირებელი ნორმატიული აქტია: საქართველოს კანონი „აკვაკულტურის შესახებ“, რომელიც ხელმოწერილი იქნა 2020 წლის 24 ივნისს, თუმცა აღნიშნული კანონი უმეტესი მუხლები (გარდა მხოლოდ მე-40 მუხლის პირველი და მეორე პუნქტისა, რომლებიც ეხება კანონქვემდებარე აქტებისა და შესაბამისი ბრძანებების მიღებას) ამოქმედდა 2021 წლის 1 მარტიდან.

აღნიშნული კანონის მიღებასთან ერთად ცვლილებები შევიდა მომიჯნავე კანონმდებლობაში, კერძოდ:

- ✓ საქართველოს კანონით „აკვაკულტურის შესახებ“ დაადგინდა, რომ: „აკვაკულტურის საქმიანობა ხორციელდება აკვაკულტურის ნებართვის საფუძველზე“ (მუხლი #7 აკვაკულტურის ნებართვა, პუნქტი 1), შესაბამისად ჩანაწერი გაჩნდა საქართველოს კანონში „ნებართვებისა და ლიცენზიების შესახებ“;
- ✓ აკვაკულტურის კანონის რეგულირების სფეროს განმსაზღვრელი ჩანაწერი გაჩნდა საქართველოს კანონებში „წყლის შესახებ“ და „ცხოველთა სამყაროს შესახებ“;
- ✓ აკვაკულტურაში სხვადასხვა სახის მოსაკრებლები და საფასურები დაწესდა საქართველოს კანონებით: „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“, „რეგულირების საფასურის შესახებ“, „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“, აღსანიშნავია, რომ ყველა ეს მოსაკრებელი და საფასური ძალაში შედის 2024 წლის 1 იანვრიდან;
- ✓ აკვაკულტურა გარკვეული მასშტაბებით მოექცა გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურებში საქართველოს კანონით: „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“;
- ✓ აკვაკულტურის კანონმდებლობით განსაზღვრული რეგულაციების დარღვევაზე შესაბამისი ცვლილებები შევიდა საქართველოს კანონში „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, რითაც განისაზღვრა ჯარიმების ოდენობა.
- ✓

აკვაკულტურის მარეგულირებელი კანონმდებლობის შესახებ ზოგადი ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

სახელწოდება	რეგულირების სფერო - აკვაკულტურის სფეროში	აკვაკულტურის მარეგულირებელი ძირითადი მუხლები და პუნქტები	კომენტარი
საქართველოს კანონი „აკვაკულტურის შესახებ“	არეგულირებს აკვაკულტურის საქმიანობას		მოქმედებს 2021 წლის 1 მარტიდან

საქართველოს კანონი „ზუნდბრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“	ზუნდბრივი რესურსების სარგებლობით მოსაკრებლების სახეებისა და განაკვეთების, ასევე გადახდის წესის დადგენა	მუხლი #3,#5 და #6	მოქმედებს 2024 წლის 1 იანვრიდან
საქართველოს კანონი „რეგულირების საფასურის შესახებ“	რეგულირების საფასურის სახეებისა და განაკვეთების, ასევე გადახდის წესის დადგენა	მუხლი #4, #5.1, დანართი	მოქმედებს 2024 წლის 1 იანვრიდან
საქართველოს კანონი „ნებართვებისა და ლიცენზიების შესახებ“	ადგენს ნებართვისა და ლიცენზიების სახეებს, განსაზღვრავს მათი გაცემის ზოგად წესს	მუხლი #24, პუნქტი 11 <sup>1</sup> და 11 <sup>2</sup> მუხლი #25	მოქმედებს 2021 წლის 1 მარტიდან
საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის, #17 დადგენილება „გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტების დამტკიცების თაობაზე“	განსაზღვრავს წყალაღების და წყალჩაშების წესებსა და ტექნიკური პირობებს		
საქართველოს კანონი „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“	ამ კოდექსის რეგულირების სფეროს განეკუთვნება გარემოზე ზემოქმედების შეფასების, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ექსპერტიზის ჩატარების პროცედურები	დანართი #1, პუნქტი #21.  დანართი #2, პუნქტი 1, ქვეპუნქტი 1.6, პუნქტი 9, ქვეპუნქტი 9.9.	
საქართველოს კანონი „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“	ეს კანონი განსაზღვრავს საქართველოს ტერიტორიაზე სავალდებულო ეკოლოგიური ექსპერტიზისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობათა სრულ ნუსხას და მათ განსახორციელებლად გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის წესებს	მუხლი #4 პუნქტი #1 ქვეპუნქტი: „ო“.	
საქართველოს კანონი „წყლის შესახებ“	არეგულირებს წყლის რესურსების დაცვის, სარგებლობისა და მართვის ძირითად სამართლებრივ ურთიერთობებს	მუხლი #5, პუნქტი 4.	მოქმედებს 2021 წლის 1 მარტიდან
საქართველოს კანონი „ცხოველთა სამყაროს შესახებ“	არეგულირებს ცხოველთა სამყაროს დაცვის, სარგებლობისა და მართვის ძირითად სამართლებრივ ურთიერთობებს	მუხლი 30, პუნქტი 10.	მოქმედებს 2021 წლის 1 მარტიდან
საქართველოს კანონი „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“	არეგულირებს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა განსაზღვრას და საჯარიმო სანქციებს.	მუხლი 86 <sup>2</sup> .	მოქმედებს 2021 წლის 1 მარტიდან

აკვაკულტურის მარეგულირებელი კანონმდებლობის შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:



## 1. საქართველოს კანონი „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“

საქმიანობამ, რომელმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს გარემოზე მიეკუთვნება ამ კოდექსის I დანართით გათვალისწინებულ საქმიანობებს. საქმიანობა I დანართის შემთხვევაში ექვემდებარება გზშ-ის პროცედურას.

გზშ-ს პროცედურის პირველი ეტაპია სკოპინგის ანგარიშის მომზადება. სკოპინგის დასკვნა სავალდებულოა საქმიანობის განმახორციელებლისთვის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისას. საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია საქმიანობის დაგეგმვის შეძლებისდაგვარად ადრეულ ეტაპზე წარადგინოს სკოპინგის დასკვნის გაცემის თაობაზე განცხადება და სკოპინგის ანგარიში. სკოპინგის დასკვნის დამტკიცების შემდეგ საქმიანობის განმახორციელებელი ან/და კონსულტანტი უზრუნველყოფს გზშ-ის ანგარიშის მომზადებას. თუ საქმიანობის განმახორციელებელი სკოპინგის დასკვნის დამტკიცებიდან 3 წლის ვადაში ვერ მიიღებს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას, სკოპინგის დასკვნის დამტკიცების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალადაკარგულად ცხადდება.

ამ კოდექსის II დანართით გათვალისწინებული საქმიანობისთვის გზშ-მდე ხორციელდება სკრინინგის პროცედურა. მე-2 დანართი გათვალისწინებული საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია საქმიანობის დაგეგმვის შეძლებისდაგვარად ადრეულ ეტაპზე სააგენტოს წარუდგინოს დაგეგმილი საქმიანობის სკრინინგის განცხადება და სააგენტოსგან მიიღოს გადაწყვეტილება იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა დაგეგმილი საქმიანობა გზშ-ს.

### დანართი #1.

21. კაშხლის ან/და სხვა ნაგებობის მშენებლობა და ექსპლუატაცია, რომელიც წყლის შესაკავებლად ან მუდმივად დასაგროვებლად გამოიყენება და რომლის მიერ შეკავებული ან დაგროვებული წყლის მოცულობა 50 000 მ<sup>3</sup>-ზე მეტია.

### დანართი #2.

1. სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა და აკვაკულტურა:

1.6 წელიწადში 40 ტონაზე მეტი წარმადობის აკვაკულტურის მეურნეობის მოწყობა (წყლის ცხოველური ორგანიზმებისა და მცენარეების მოშენება);

9. ინფრასტრუქტურული პროექტები:

9.9. კაშხლის ან/და სხვა ნაგებობის/მოწყობილობის მშენებლობა, რომლის მშენებლობა მიზანშეწონილია წყლის შეკავების ან წყლის გრძელვადიანი დაგროვების მიზნით და რომლის მიერ შეკავებული ან დაგროვებული წყლის მოცულობა 10 000 მ<sup>3</sup>-ზე მეტია.

თუ აკვაკულტურის ნებართვის მაძიებელი ითხოვს წელიწადში 40 ტონაზე მეტი წარმადობის აკვაკულტურის მეურნეობის მოწყობას ან აკვაკულტურის მიზნით შეკავებული ან

დაგროვებული წყლის მოცულობა 10 000 მ<sup>3</sup>-ზე მეტია, ნებართვის მაძიებელმა, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის შესაბამისად, უნდა წარადგინოს სამინისტროს გადაწყვეტილება იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა დაგეგმილი საქმიანობა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

## 2. საქართველოს კანონი „წყლის შესახებ“

**მუხლი 5.** წყლის შესახებ საქართველოს კანონის რეგულირების საგანი.

4. წყლის ცხოველთა სამყაროს დაცვის, შესწავლის, აღწარმოებისა და გამოყენების სფეროში ურთიერთობები რეგულირდება ამ კანონითა და „ცხოველთა სამყაროს შესახებ“ და „აკვაკულტურის შესახებ“ საქართველოს კანონებით.

მოქმედებს 2021 წლის 1 მარტიდან.

## 3. საქართველოს კანონი „ცხოველთა სამყაროს შესახებ“

**მუხლი 30.** თევზჭერა.

10. აკვაკულტურის საქმიანობის პროცესში გამოზრდილ წყლის ცხოველებთან დაკავშირებული ურთიერთობები რეგულირდება „აკვაკულტურის შესახებ“ საქართველოს კანონით.

მოქმედებს 2021 წლის 1 მარტიდან.

## 4. საქართველოს კანონი „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“

**მუხლი 86<sup>2</sup>.** აკვაკულტურის საქმიანობის განხორციელების წესების დარღვევა.

1. აკვაკულტურის საქმიანობის აკვაკულტურის/ექსტენსიური აკვაკულტურის ნებართვის გარეშე განხორციელება –გამოიწვევს დაჯარიმებას 2 000 ლარამდე.

2. აკვაკულტურის/ექსტენსიური აკვაკულტურის ნებართვის სანებართვო პირობების დარღვევა – გამოიწვევს დაჯარიმებას 1 000 ლარამდე.

3. „აკვაკულტურის შესახებ“ საქართველოს კანონის სხვა მოთხოვნის ან აკვაკულტურის ტექნიკური რეგლამენტის დარღვევა –გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარამდე.

4. ამ მუხლის პირველი-მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენა -გამოიწვევს დაკისრებული ჯარიმის გაორმაგებას.

**მოქმედებს 2021 წლის 1 მარტიდან.**

#### 5. საქართველოს კანონი „ნებართვისა და ლიცენზიების შესახებ“

**მუხლი 24.** ნებართვის სახეები

11<sup>1</sup>. აკვაკულტურის ნებართვა.

11<sup>2</sup>. ექსტენსიური აკვაკულტურის ნებართვა.

ნებართვის მაძიებელი ნებართვის მისაღებად ნებართვის გამცემს წარუდგენს წერილობით განცხადებას. ნებართვის მიღების თაობაზე განცხადების წარდგენა, განხილვა და წარმოებაში მიღება ხორციელდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VI თავით დადგენილი წესით, გარდა „აკვაკულტურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა, კერძოდ: ამ კანონით განსაზღვრული საზღვაო წყლებში აკვაკულტურის ნებართვა და ექსტენსიური აკვაკულტურის ნებართვა გაიცემა საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით.

**მოქმედებს 2021 წლის 1 მარტიდან.**

#### 6. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის, #17 დადგენილება „გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტების დამტკიცების თაობაზე“

ზედაპირული წყლის ობიექტებიდან წყალაღებისას წყალმოსარგებლე, რომლის საქმიანობა არ ექვემდებარება ეკოლოგიურ ექსპერტიზას, შეიმუშავებს „ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყლის ამოღების ტექნიკური რეგლამენტის პროექტს“, რომელსაც ითანხმებს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო და აჭარაში - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის შესაბამისი დაწესებულება - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო. ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყლის ამოღების ტექნიკური რეგლამენტი დგინდება 5 წელიწადში ერთხელ.

#### 7. საქართველოს კანონი „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“

**მუხლი 7.** სანებართვო მოსაკრებლის განაკვეთები.

31. აკვაკულტურის ნებართვა – 200 ლარი.

32. სანებართვო მოსაკრებლის გადახდისგან თავისუფლდება ექსტენსიური აკვაკულტურის ნებართვის გაცემა.

სანებართვო მოსაკრებელი არის ერთჯერადი სავალდებულო გადასახდელი.

**მოქმედებს 2024 წლის 1 იანვრიდან.**

## **8. საქართველოს კანონი „რეგულირების საფასურის შესახებ“**

**მუხლი 4.** რეგულირების საფასურის გადამხდელები

1. რეგულირების საფასურის გადამხდელია ყველა პირი, რომლებიც ახორციელებენ:

დ) აკვაკულტურის ნებართვისადმი დაქვემდებარებულ აკვაკულტურის საქმიანობას.

**მუხლი 5.1.** ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის, ნავთობის გადამუშავების, გაზის დამუშავების ან/და ტრანსპორტირების საქმიანობის რეგულირების საფასურის ოდენობები, სტრუქტურა და გადახდის წესი

1. ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის, ნავთობის გადამუშავების, გაზის დამუშავების ან/და ტრანსპორტირების საქმიანობის რეგულირების საფასურის ოდენობები და სტრუქტურა განისაზღვრება ამ კანონის დანართით.

2. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის რეგულირების საფასური გადაიხდება:

გ) ამ კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქმიანობის განმახორციელებელი პირის მიერ წელიწადში ერთხელ – არაუგვიანეს 31 იანვრისა.

**დანართი: რეგულირების საფასურის ოდენობები**

**16.1** აკვაკულტურის საქმიანობის განხორციელების მიზნით აკვაკულტურის კონსტრუქციაში არსებული ბუნებრივი წყალი: 1მ<sup>3</sup> საზღვაო წყლისთვის – 0,05 ლარი; 1მ<sup>3</sup> ტბორისთვის – 0,001 ლარი; 1მ<sup>3</sup>; სხვა წყლისთვის – 0,1 ლარი.

**მოქმედებს 2024 წლის 1 იანვრიდან.**

## **9. საქართველოს კანონი „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“**

**მუხლი 3.** მოსაკრებლის გადამხდელი

ე) პირი, რომელიც ზედაპირული წყლების გამოყენებით აკვაკულტურის ნებართვის საფუძველზე ახორციელებს აკვაკულტურის საქმიანობას.

**მუხლი 5.** მოსაკრებლის განაკვეთი

4. წყლის რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვრება:

გ) აკვაკულტურის კონსტრუქციაში გამოყენებული ბუნებრივი წყლის რესურსებით სარგებლობისათვის – აკვაკულტურის კონსტრუქციის 1მ<sup>3</sup> -ზე – 0,8 ლარით, ტბორისთვის – 0,005 ლარით, საზღვაო წყლისთვის – 0,1 ლარით.

**მუხლი 6.** მოსაკრებლის გადახდის და ბიუჯეტში ჩარიცხვის წესი

1. ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელი გადაიხდება არა უგვიანეს საანგარიშოს მომდევნო თვის 15 რიცხვისა.

**მოქმედებს 2024 წლის 1 იანვრიდან.**

## 10. საქართველოს კანონი „აკვაკულტურის შესახებ“

ხელმოწერილი იქნა 2021 წლის 24 ივნისს, თუმცა აღნიშნული კანონი უმეტესი მუხლები (გარდა მხოლოდ მე-40 მუხლის პირველი და მეორე პუნქტისა, რომლებიც ეხება კანონქვემდებარე აქტებისა და შესაბამისი ბრძანებების მიღებას) ამოქმედდა **2021 წლის 1 მარტიდან.**

საქართველოს კანონით „აკვაკულტურის შესახებ“ დაადგინდა, რომ აკვაკულტურის საქმიანობა ხორციელდება მხოლოდ აკვაკულტურის ნებართვის საფუძველზე.

იმ პირებს, რომლებიც ამ კანონის ამოქმედებამდე ახორციელებდნენ ამავე კანონით მოწესრიგებულ აკვაკულტურის საქმიანობას, უფლება აქვთ, გააგრძელონ ეს საქმიანობა. აღნიშნული პირები ვალდებული არიან ამ კანონის ამოქმედებიდან **2 წლის ვადაში** უზრუნველყონ აკვაკულტურის ნებართვის მიღება. შესაბამისად საქართველოში მოქმედ აკვაკულტურის სუბიექტებს ეს ვადა **2023 წლის 1 მარტამდე** აქვთ.

ხმელეთზე განთავსებული 50 მ<sup>3</sup>-მდე მოცულობის აკვაკულტურის კონსტრუქციით აკვაკულტურის საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტი თავისუფლდება ნებართვის აღების ვალდებულებისაგან.

საზღვაო წყლებში ნებართვა გაცივმა საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით.

აკვაკულტურის საქმიანობის განხორციელების უფლება პირს მიენიჭება 20 წლის ვადით. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ აკვაკულტურის მეურნეობა მომგებიანი ხდება 4-7 წლის შემდგომ, შესაბამისად ეს ვადა საჭიროა იმისთვის, რომ პოტენციური ინვესტორებისთვის

მიმზიდველი იყოს მისი განხორციელება. ამ ვადის გასვლის შემდგომ, აკვაკულტურის საქმიანობის გაგრძელების სურვილის შემთხვევაში პირივალდებული იქნება მოითხოვოს ნებართვის ვადის გაგრძელება ან ხელახლა გაიაროს აკვაკულტურის განხორციელების უფლების მიღების მიზნით განსაზღვრული პროცედურები. აღნიშნული ჩანაწერის მიზანია თავიდან იქნეს აცილებული აკვაკულტურის განმახორციელებელი პირის მიერ საქმიანობის თვითნებური გაგრძელება და შესაბამის კომპეტენტურ ორგანოს ჰქონდეს შესაძლებლობა, გაგრძელებასთან დაკავშირებული უარყოფითი პოზიციის შემთხვევაში, ობიექტური გარემოებების არსებობისას, თუ პირის საქმიანობა ზიანს აყენებს გარემოს, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ინტერესებს, არ მისცეს პირს აკვაკულტურის განხორციელების გაგრძელების შესაძლებლობა.

კანონით დადგინდა საქართველოს საზღვაო წყლებში ზონირების საფუძვლები და საქართველოს მთავრობის შესაბამისი უფლებამოსილება. საზღვაო წყლებში აკვაკულტურის საქმიანობა განხორციელდება და აკვაკულტურის ნებართვა გაიცემა ამისათვის სპეციალურად გამოყოფილ სპეციალურ ზონებში, რომლის საზღვრებს ადგენს საქართველოს მთავრობა.

კანონი აგრეთვე განსაზღვრავს აკვაკულტურის ნებართვის გაცემის წესს, აკვაკულტურის ნებართვის მფლობელის ვალდებულებებს.

დარგში კოორდინაციის უზრუნველყოფის მიზნით შესაბამისი სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლების მონაწილეობით იქმნება აკვაკულტურის უწყებათაშორისი კომიტეტი აკვაკულტურის ნებართვის გაცემის ან გაგრძელების, მათ შორის, აკვაკულტურისათვის გამოყოფილი ზონების დადგენის უწყებათაშორისი თანამშრომლობის კოორდინაციის მიზნით. აკვაკულტურის უწყებათაშორისი კომიტეტის უფლებამოსილებას განეკუთვნება: აკვაკულტურის მდგრადი განვითარების და მიზანშეწონილი მართვის პოლიტიკისა და წყლის ცოცხალი რესურსებისა და მათი ეკოსისტემების კონსერვაციის თაობაზე რეკომენდაციების შემუშავება; აკვაკულტურის ნებართვის მამიებლის განაცხადის წინასწარი განხილვა და რეკომენდაციის წარდგენა აკვაკულტურის ნებართვის გაცემის თაობაზე; აკვაკულტურის სუბიექტისათვის სანებართვო პირობების განსაზღვრის შესახებ გადაწყვეტილებების მიღება; აკვაკულტურისათვის გამოყოფილი ზონების თაობაზე წინადადებების შემუშავება და შეთანხმება.

აკვაკულტურის მიზნებისათვის უცხო სახეობის წყლის ორგანიზმების შემოყვანაზე გადაწყვეტილების მიღების მიზნით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში არსებულ უფლებამოსილ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებასთან, მინისტრის ბრძანებით იქმნება აკვაკულტურის მრჩეველთა კომიტეტი. კომიტეტი უზრუნველყოფს: დასკვნის შემუშავებას უცხო სახეობის შემოყვანაზე და მის წარდგენას გარემოს ეროვნული სააგენტოსათვის; პროცედურების განსაზღვრას, რომლებიც წინ უძღვის წყლის ორგანიზმის გაშვებას; უცხო სახეობის შემოყვანის რისკების ანალიზის და გარემოსდაცვითი რისკების შეფასებას; კონსულტაციების გაწევა და სამინისტროსათვის

რეკომენდაციების წარდგენა აკვაკულტურის განვითარებასთან დაკავშირებული სამეცნიერო ასპექტებისა და მათი დანერგვის შესახებ.

კანონით დგინდება ექსტენსიური აკვაკულტურის განხორციელების სამართლებრივი საფუძვლები. კერძოდ, საქართველოს შიგა წყალსატევებში, წყალსატევის მუნიციპალური კუთვნილების მიხედვით, შეიძლება გაიცეს აკვაკულტურის ნებართვა, რომელიც ითვალისწინებს ექსტენსიური აკვაკულტურის განხორციელების უფლებას. ექსტენსიური აკვაკულტურის ნებართვა გაიცემა მხოლოდ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილ სასოფლო-სამეურნეო (თევზის მეურნეობის) კოოპერატივებზე. გამონაკლის შემთხვევებში, სოციალური, ეკონომიკური ან სხვა საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით, სხვა იურიდიულ პირებზე გაცემა შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს მთავრობის თანხმობით. ექსტენსიური აკვაკულტურის ნებართვით მიკუთვნებულ წყალსატევში ან წყალსატევის უბანზე თევზჭერა, წყალქვეშა ნადირობა ასევე ჰიდრობიონტების შეგროვება დაშვებულია მხოლოდ ექსტენსიური აკვაკულტურის ნებართვის მფლობელის თანხმობით.

ამასთან, ტბაზე, წყალსაცავზე და ტბის ტიპის სხვა წყალსატევზე შეიძლება გაიცეს მხოლოდ ერთი ექსტენსიური აკვაკულტურის ნებართვა, ხოლო მდინარის შემთხვევაში - რამდენიმე. საქართველოს შიგა წყალსატევში ექსტენსიური აკვაკულტურის ნებართვის არსებობისას, ამავე წყალსატევში სხვა აკვაკულტურის ნებართვების გაცემა დასაშვებია მხოლოდ აკვაკულტურის კონსტრუქციების განთავსებით. საქართველოს მდინარეთა განსაზღვრულ მონაკვეთებზე ექსტენსიური აკვაკულტურის ნებართვის გაცემა შესაძლებელი იქნება როგორც სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებზე, ასევე სხვა მეწარმე სუბიექტებზეც.

საქართველოს კანონით, აკვაკულტურის შესახებ“ განსაზღვრულია 9 კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიღება. 9-დან 3 მათგანი დღემდე მიღებული არაა, 5 მითებულია ვადების დარღვევით და მხოლოდ ერთია მიღებული დადგენილ ვადებში:

კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი	კანონით განსაზღვრული დამტკიცების თარიღი	ფაქტიური დამტკიცების თარიღი	შენიშვნა
საქართველოს მთავრობის 2021 წლის 6 ივლისის #325 დადგენილება „აკვაკულტურის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“	2021 წლის 1 მარტამდე	2021 წლის 6 ივლისს	აქტი მიღებულია 4 თვის დაგვიანებით
საქართველოს მთავრობის 2021 წლის 19 მაისის #232 დადგენილება „აკვაკულტურის ნებართვის გაცემის“	2021 წლის 1 მარტამდე	2021 წლის 19 მაისი	აქტი მიღებულია 2 თვის დაგვიანებით

<b>წესისა და სანებართვო პირობების დამტკიცების შესახებ</b>			
საქართველოს მთავრობის 2021 წლის 5 თებერვლის #53 დადგენილება <b>„აკვაკულტურის უწყებათაშორის საბჭოს შემადგენლობის, მუშაობის ორგანიზებისა და საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“</b>	2021 წლის 1 მარტამდე	2021 წლის 5 თებერვალი	აქტი მიღებულია დადგენილ ვადებში
საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 9 მარტის #2-271 დადგენილება <b>„აკვაკულტურის მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობისა და საქმიანობის წესის განსაზღვრის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“</b>	2021 წლის 1 მარტამდე	2021 წლის 9 მარტს	აქტი მიღებულია 8 დღიანი დაგვიანებით
<b>საზღვაო წყლებში აკვაკულტურისთვის გამოყოფილი ზონა/ზონები</b>	2022 წლის 31 დეკემბრამდე		აქტი არაა მიღებული
<b>აკვაკულტურისთვის გამოყოფილი ზონის მართვის გეგმა</b>	2022 წლის 31 დეკემბრამდე		აქტი არაა მიღებული
საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 9 ივნისის #2-846 დადგენილება <b>„აკვაკულტურის საქმიანობის განსახორციელებლად უცხო სახეობის შემოყვანის წესისა და პირობების შესახებ“</b>	2021 წლის 1 მარტამდე	2021 წლის 9 ივნისი	აქტი მიღებულია 3 თვის დაგვიანებით
საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 1 ივლისის #2-1003 დადგენილება <b>„აკვაკულტურის კვლევაზე თანხმობის გაცემის წესის განსაზღვრის შესახებ“</b>	2021 წლის 1 მარტამდე	2021 წლის 1 ივლისი	აქტი მიღებულია 4 თვის დაგვიანებით
<b>საქართველოში წარმოებული აკვაკულტურის ობიექტის აკვაკულტურისადმი კუთვნილების დამადასტურებელი დოკუმენტის ფორმისა და გაცემის წესის განსაზღვრის შესახებ</b>	2021 წლის 1 მარტამდე		აქტი არაა მიღებული, მიუხედავად იმისა, რომ დამტკიცების დადგენილი ვადიდან გასულია 1 წელი და 3 თვე



# აკვაკულტურის კანონმდებლობის ნაკლოვანებები

საქართველოს კანონი „აკვაკულტურის შესახებ“ ხელმოწერილი იქნა 2020 წლის 24 ივნისს, თუმცა აღნიშნული კანონი უმეტესი მუხლები (გარდა მხოლოდ მე-40 მუხლის პირველი და მეორე პუნქტისა, რომლებიც ეხება კანონქვემდებარე აქტებისა და შესაბამისი ბრძანებების მიღებას) ამოქმედდა **2021 წლის 1 მარტიდან**.

აღნიშნული ნორმატიული აქტის მიღებას უდიდესი პოტენციალის მქონე დარგის განვითარებაში ტრიგერის როლი უნდა ეთამაშა, კანონს უნდა მკაფიოდ განესაზღვრა: აკვაკულტურის განხორციელების ზოგადი წესები და პროცედურები; აკვაკულტურის სუბიექტების უფლებები და ვალდებულებები; სუბიექტებს შორის, ასევე სუბიექტებსა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობების ფორმები; საქმიანობის განხორციელების საკანონმდებლო გარანტიები; აკვაკულტურის მიზნებისთვის ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის და გარემოსდაცვის ფორმები და ყოველივე ეს იმგვარად, რომ ერთის მხრის გამხდარიყო დარგის განვითარების მნიშვნელოვანი სტიმულატორი, ხოლო მეორეს მხრივ გაეთვალისწინებია ზოგად საზოგადოებრივი და სახელმწიფო ინტერესები.

ნაცვლად ამისა ახალმა კანონმდებლობამ დაადგინა რიგი ვალდებულებები, ბიუროკრატიული ბარიერები და გადასახდელები, ასევე შემოიტანა იმდენი ბუნდოვანება და გაუგებრობა, რომ ის დღეისათვის დარგის განვითარების უმთავრეს ბარიერად გადაიქცა.

ქვემოთ წარმოდგენილია კანონმდებლობის ის ძირითადი 4 საკითხი, რომლებიც დარგისთვის ეგზისტენციალურ საფრთხეს შეიცავენ. გარდა ამისა კანონმდებლობაში კიდევ მრავალი უზუსტობა და ბუნდოვანებაა. ამ პრობლემების აღმოფხვრის გარეშე დარგის განვითარება ვერ იქნება უზრუნველყოფილი.

## 1. დადგინდა ახალა გადასახდელები (საფასური და მოსაკრებლები), რომელებიც აქამდე არ არსებობდა:

**სანებართვო მოსაკრებელი** - აკვაკულტურის ნებართვის მისაღებად - 200 ლარი, გადასახდელია ერთჯერადად;

**რეგულირების საფასური** - აკვაკულტურის კონსტრუქციაში არსებული ბუნებრივი წყალი: 1მ<sup>3</sup> საზღვაო წყლისთვის - 0,05 ლარი; 1მ<sup>3</sup> ტბორისთვის - 0,001 ლარი; 1მ<sup>3</sup> სხვა წყლისთვის - 0,1 ლარი. გადასახდელია ყოველწლიურად ნებართვის მოქმედების პერიოდში;

**ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის მოსაკრებელი** - აკვაკულტურის კონსტრუქციაში გამოყენებული ბუნებრივი წყლის რესურსებით სარგებლობისათვის - აკვაკულტურის

კონსტრუქციის 1მ<sup>3</sup> -ზე – 0,8 ლარით, ტბორისთვის – 0,005 ლარით, საზღვაო წყლისთვის – 0,1 ლარით. გადასახდელია ყოველთვიურად ნებართვის მოქმედების პერიოდში. ამის გარდა აღნიშნული გადასადის გადახდა მოითხოვს ყოველთვიურ დეკლარირებას შემოსავლების სამსახურის სისტემაში - „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის მოსაკრებლის დაანგარიშება“.

**აღსანიშნავია, რომ რეგულირების საფასური და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის მოსაკრებელი ძალაში შედის 2024 წლის 1 იანვრიდან.**

**გადასახადელების კალკულაცია:**

თვალსიჩონო მაგალითისთვის ავიღეთ 5 ტიპის აკვაფერმა და მათ მიხედვით განვახორციელეთ გადასახდელების კალკულაცია: 1. ტბორული- საქართველოში ასეთი ტიპის მეურნეობები 20-220 ჰექტარამდეა, მცირე ტბორული მეურნეობის ფართობი 10 ჰექტარამდეა, ტბორების სიღრმე საშუალოდ 1.5 მეტრია, მოცულობა 15 000 მ<sup>3</sup>; 2. რეისვეი - საქართველოში ასეთი ტიპის მეურნეობების წლიური პროდუქცია 2-250 ტონამდეა, არსებული მოცემულობით საშუალო რეისვის წლიური პროდუქცია არის 10 ტონა, ჩასმის სიმჭიდროვე 30 კგ-მდეა; საშუალოდ 20 კგ. ასეთი მეურნეობის მოცულობა დაახლოებით 600 მ<sup>3</sup>. 3. ექსტენსიური- მაგალითისთვის აღებულია მცირე ზომის მქონე ლისის ტბა; 4. მიდიების/ხამანწყების მარიფერმა - მაგალითისთვის აღებული მცირე მოცულობის 50 ტონიანი ფერმა; 5. გალიების მარიფერმა - მაგალითისთვის აღებულია 1 ცალი მოზრდილი გალია, საშუალოდ მეურნეობებში ასეთი გალიების ოდენობა 6 დან - 30 მდეა.

მეურნეობის ტიპი	მოცულობა	რეგულირების საფასურის განაკვეთი	რეგულირების საფასური	ბუნებრივი რესურსების მოსაკრებლის განაკვეთი	ბ.რ.ს მოსაკრებელი	ყოველწლიური გადასახადი
ტბორული-10 ჰექტარი	150 000 მ <sup>3</sup>	0,001 ლარი	150 ლარი	0,005 ლარი	750X12=9000	9150 ლარი
რეისვეი - 10 ტონა	600 მ <sup>3</sup>	0,1 ლარი	60 ლარი	0,8 ლარი	480X12=5760	5820 ლარი
ექსტენსიური - ლისის ტბა	1 220 000 მ <sup>3</sup>	0,1 ლარი	122 000 ლარი	0,8 ლარი	976 000X12=11 712 200	11 834 000 ლარი
საზღვაო გალიები - 100 ტონა	7500 მ <sup>3</sup>	0,005 ლარი	37,5 ლარი	0,1 ლარი	750X12=9000	9037,5 ლარი
მიდიები/ხამანწყები - 50 ტონა	????? მ <sup>3</sup>	0,005 ლარი	?????	0,1 ლარი	?????	?????

როგორც ცხრილიდან ჩანს 10 ჰექტარიანი ტბორული მეურნეობის წლიური გადასახადი 9150 ლარია. აღსანიშნავია, რომ ასეთი მეურნეობის წლიური პროდუქცია (3 ჰა საზრდელი ტბორები + 7 ჰა პროდუქციული ტბორები) ექსტენსიური მეთოდის შემთხვევაში საშუალოდ 1050 კგ-ია,

ნახევდარ-ინტენსიური მეთოდის შემთხვევაში საშუალოდ 3500 კგ, ხოლო სრულად ინტენსიურის შემთხვევაში საშუალოდ 10500 კგ. საქართველოში ტბორული მეთევზეობის ობიექტებია სქელშუბლა (საბაზრო ღირებულება 8 ლარი, ღირებულება ადგილზე-ფერმაში 6,5 ლარი), კობრი და თეთრი ამური (საბაზრო ღირებულება 15 ლარი, ღირებულება ადგილზე-ფერმაში 12 ლარი). ტბორული თევზის საშუალო საბითუმო ღირებულება დაახლოებით 9 ლარია. ამრიგად გამოდის, რომ 10 ჰექტრიანი ტბორული მეურნეობის წლიური შემოსავალი ექსტენსიურის შემთხვევაში გამოდის 9450 ლარი, ნახევრად ინტენსიურის შემთხვევაში 31500 ლარი და ინტენსიურის შემთხვევაში 94500 ლარი - რაც ნიშნავს, რომ მხოლოდ რეგულირების საფასური და ბუნებრივი რესურსების მოსაკრებელი შეადგენს ექსტენსიურის შემთხვევაში შეადგენს საერთო შემოსავლის 97%-ს, ნახევრად ექსტენსიურის 29%-ს, ხოლო ინტენსიურის 9,7%-ს. თვალსაჩინოა, რომ ექსტენსიური და ნახევრად ექსტენსიური ტბორული გამოზრდა საერთოდ აზრს კარგავს - რენტაბელობას მოკლებულია, ხოლო ინტენსიურის გამოზრდის შემთხვევაში დაახლოებით ანახევრებს რენტაბელობას.

10 ტონიანი რეისვეის შემთხვევაში ვლებულობთ შემდეგ სურათს - 1კგ. კალამხის საბაზრო ღირებულებაა 17-18 ლარი, საბითუმო კი 13-15 ლარი, საშუალოდ 14 ლარი. საერთო წლიური შემოსავალი გამოდის 140 000 ლარი, აქედან საკვების დანახარჯებია დაახლოებით 80 000 ლარი, ლიფსიტის ღირებულება 10 000 ლარი, შრომის ანაზღაურება და სხვა ხარჯები 20 000 ლარი. მოგების ოდენობა შეადგენს დაახლოებით 30 000 ლარს. რაც იმას ნიშნავს, რომ მხოლოდ რეგულირების საფასური და ბუნებრივი რესურსების მოსაკრებელია პოტენციური მოგების დაახლოებით 19,4%.

საერთოდ ასტრონომიულ რიცხვებს აღწევს ექსტენსიური აკვაკულტურის ახალი გადასახდელების მოცულობა - რაც ამ მიმართულების განვითარებას საერთოდ გამორიცხავს.

შეუძლებელია მიდიების და ხამანწყების გამოსაზრდელი მეურნეობების კონსტრუქციაში არსებული ბუნებრივი წყლის მოცულობის განსაზღვა-შესაბმისად მათთვის რეგულირების საფასურის და ბუნებრივი რესურსების მოსაკრებლის განსაზღრა, რადგან ასეთ კონტრუქციების შემოსაზღვრული სივრცე და მკაფიო საზღვრები საერთოდ არ გააჩნიათ, რაც ასევე ამ მიმართულების განვითარებას გამორიცხავს.

გარდა გაზრდილი და არაადეკვატური გადასახადებისა, აღსანიშნავია:

რეისვეი - სრულადგამდინარე წყლიანი მეურნეობების შემთხვევაში (სათავე ნაგებობა, სალექრები, წყალმიმყვანი არხები წყალგამყვანი არხები, სხვადასხვა ზომის, ფორმის, სიღრმის და დახრილობის მქონე ავზები და სხვა) სპეციალური კვალიფიკაციას საჭიროებს აკვაკულტურის კონსტრუქციაში არსებული ბუნებრივი წყლის მოცულობის ზუსტი განსაზღვრა, ასევე რიგ სირთულეებთან არის დაკავშირებული დაუშრობადი ტბორების და წყალსაცავების წყლის მოცულობის ზუსტი განსაზღვაც, რაც ასევე სპეციალური ექსპერტიზას მოითხოვს. პრატიკიდან ჩანს, რომ არც ერთმა ასეთი მეურნეობების თევზმომშენებლმა არ იცის წყლის მოცულობა ზუსტად. სუბიექტურობის გარეშე საერთოდ

შეუძლებელია მიდიების და ხამანწკების გამოსაზრდელი მეურნეობების კონსტრუქციაში არსებული ბუნებრივი წყლის მოცულობის განსაზღვა, რადგან ასეთ კონსტრუქციების შემოსაზღვრული სივრცე და მკაფიო საზღვრები საერთოდ არ გააჩნიათ.

გარდა ამისა გაუგებარია ზუსტად რა იგულისხმება აკვაკულტურის კონსტრუქციაში და რისი გათვალისწინება ხდება კონსტრუქციის მოცულობების განსაზღვრისას:

- ✓ აკვაკულტურის გამოზრდის ციკლში გამოიყენება კონსტრუქციები (საინკუბაციო, სალიფსიტე, საზრდელი და სხვა), რომლებიც წყლითაა შევსებული მხოლოდ გარკვეული დროით - როგორ ხდება მათი დაანგარიშება?;
- ✓ აკვაკულტურაში კონსტრუქციები ბოლომდე არაა შევსებული წყლით, აქ იგულისხმება კონსტრუქციის წყლით დაფარული ნაწილი თუ კონსტრუქცია სრულად?;
- ✓ რა ხდება იმ შემთხვევაში თუ გარკვეული ავზები გარკვეული დროით არაა დატვირთული, მაგალითად ვერ მოხერხდა საჭირო ოდენობის ჩასასმელი მასალის მიღება, დაავადებებმა იჩინა, უბრალოდ რეალიზაციის პრობლემაა და ბოლომდე არ ტვირთავს სუბიექტი კონსტრუქციას და ა.შ.?
- ✓ რა ხდება იმ შემთხვევაში თუ წყალმოვრადნის, ჰიპოქსიის, დაავადებების და ა. შ. გამო მეურნეობამ გარკვეული დროით შეაჩერა საქმიანობა?.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული გარემოება ქმნის სუბიექტური მიდგომის, გარიგების და კორუფციის სერიოზულ რისკებს.

**2. დაწესდა ნებართვა, ჩამოყალიბდა ნებართვის გაცემის ბიუროკრატიული და ხანგრძლივი პროცედურები, დადგინდა სანებართვო განაცხადის რთული ფორმა, განისაზღვრა იმგვარი სანებართვო პირობები. რომელთა შესრულება აკვაკულტურის უმეტესი ობიექტებისთვის იქნება შეუძლებელი.**

საქართველოს კანონით „აკვაკულტურის შესახებ“ დაადგინდა, რომ აკვაკულტურის საქმიანობა ხორციელდება მხოლოდ აკვაკულტურის ნებართვის საფუძველზე. ნებართვა გაიცემა აუქციონის წესით.

იმ პირებს, რომლებიც ამ კანონის ამოქმედებამდე ახორციელებდნენ აკვაკულტურის საქმიანობას, უფლება აქვთ, გააგრძელონ ეს საქმიანობა. აღნიშნული პირები ვალდებული არიან ამ კანონის ამოქმედებიდან **2 წლის ვადაში უზრუნველყონ აკვაკულტურის ნებართვის მიღება. შესაბამისად საქართველოში მოქმედ აკვაკულტურის სუბიექტებს ეს ვადა 2023 წლის 1 მარტამდე აქვთ.**

ხმელეთზე განთავსებული 50 მ<sup>3</sup>-მდე მოცულობის აკვაკულტურის კონსტრუქციით აკვაკულტურის საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტი თავისუფლდება ნებართვის აღების ვალდებულებისაგან. რაც იმას ნიშნავს, რომ ნებართვის აღებისგან განთავისუფლებული მხოლოდ დაახლოებით 1-1,5 ტონა წარმადობის საკალმახე. საქართველოში არსებული საკალმახე და სატბორო მეურნეობების თითქმის სრული უმრავლესობის მოცულობა 50 მ<sup>3</sup> ბევრად მეტი მოცულობისაა.

აკვაკულტურის ნებართვის გაცემის ან უარის თქმის პროცედურის ვადა 6 თვემდე პერიოდს მოიცავს, შედგება შემდეგი საფეხურებისგან:

- აკვაკულტურის ნებართვის მისაღებად დაინტერესებულმა პირმა წერილობითი განაცხადით უნდა მიმართოს გარემოს ეროვნულ სააგენტოს;
- გარემოს ეროვნულ სააგენტო წარდგენილ განაცხადს 3 დღის ვადაში უგზავნის ყველა დაინტერესებულ ადმინისტრაციულ ორგანოს;
- დაინტერესებული ადმინისტრაციული ორგანოების მიერ მოსაზრებების წარდგენიდან - 1 თვის ვადაში სააგენტო ამ განაცხადს წინასწარ შეისწავლის;
- დაინტერესებულ მხარეებთან გამართული კონსულტაციების საფუძველზე განმცხადებელს წარუდგენს იმ პირობებსა და მოთხოვნებს, რომელთა შესრულების შემთხვევაშიც სააგენტო გასცემს აკვაკულტურის ნებართვას.

საზღვაო წყლებში აკვაკულტურის ნებართვა და ექსტენსიური აკვაკულტურის ნებართვა გაიცემა საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით (ადმინისტრაციული წარმოების შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება სააგენტოს ვებგვერდზე. დაინტერესებულ პირებს უფლება აქვთ, წარადგინონ მოსაზრებები განაცხადთან დაკავშირებით). საზღვაო წყლებში აკვაკულტურის ნებართვის განაცხადსა და დაინტერესებულ პირთა მოსაზრებებს (მათი არსებობის შემთხვევაში) განიხილავს აკვაკულტურის უწყებათაშორისი საბჭო.

აკვაკულტურის ნებართვის მისაღებად პირმა უნდა შევსოს და წარადგინოს განაცხადი (საქართველოს კანონი „აკვაკულტურის შესახებ“. საქართველოს მთავრობის 2021 წლის 19 მაისის #232 დადგენილება „აკვაკულტურის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების დამტკიცების შესახებ“), რომელიც შედგება 30-ზე მეტი პუნქტისგან. მათ შორის არაერთი პუნქტი მოითხოვს დამატებითი ხარჯების გაწევას (GIS, ტოპოგრაფიული და საკადასტრო რუკების შედგენა, წყლის ანალიზები, აკვაკულტურის კონსტრუქციის სქემატური საპროექტო ნახაზი და სხვა), ასევე საჭიროებს მუნიციპალიტეტთან მიმოწერას - თანხმობის წერილებს (მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გაცემული დოკუმენტი სივრცითი მოწყობის გეგმასთან შესაბამისობის დადასტურების თაობაზე). ზემოთ აღნიშნული განსაკუთრებით მტკივნეული იქნება მცირე-საოჯახო აკვაფერმებისთვის, რომლებსაც შეზღუდული ფინანსები გააჩნიათ და ხშირად მოკლებული არიან სპეციალურ კომპეტენციას, რაც აუცილებელია აღნიშნული განაცხადის შესავსებად.

ცოტაა დარგი სადაც ესოდენ გართულებული იყო ნებართვის მოპოვების პროცედურები. თუ მსგავსად ან უფრო რთულადაა წარმოდგენილი სანებართვო პროცედურები იქ საქმე გვაგვს მასშტაბურ, სიცოცხლისთვის დიდი რისკების შემცველ და გარემოზე დიდი ზეგავლენის მქონე ობიექტებთან.

საქართველოს კანონით „აკვაკულტურის შესახებ“ (მუხლი 9. აკვაკულტურის ნებართვის სანებართვო პირობები) დადგინდა, რომ ნებართვის მფლობელი ვალდებულია: უზრუნველყოს წყლის ხარისხის სისტემატური მონიტორინგი და მოხმარებული წყლის ზედაპირული წყლის ობიექტში ჩადინებამდე გაწმენდა. აღნიშნული მოთხოვნის შესრულება შეუძლებელია აკვაკულტურის ობიექტების სრული უმრავლესობისთვის. ანუ გამოდის, რომ აკვაკულტურის ობიექტმა უნდა დაამონტაჟოს მეურნეობიდან გასულ წყალზე გამწმენდი ნაგებობა, ასევე აწარმოოს წყლის ხარისხის სისტემური მონიტორინგი ჩამდინარე წყლების ანუ აკვაკულტურის ობიექტმა უნდა დააყენოს ავტომატური სადგური წყლის ხარისხის მონიტორინგი (რაც რამოდენიმე 100-ული ათასი ლარი ჯდება) ან სისტემატურად უნდა აიღოს წყლის სინჯები და შეამოწმოს ლაბორატორიაში, რაც ასევე კოლოსალური თანხები დაჯდება.

3. აკვაკულტურის დიდი ნაწილი დამატებით მოქცეული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების პროცედურებში.
4. საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“:
  - I დანართის 21-ე პუნქტის თანახმად, კაშხლის ან/და სხვა ნაგებობის მშენებლობა და ექსპლუატაცია, რომელიც წყლის შესაკავებლად ან მუდმივად დასაგროვებლად გამოიყენება და რომლის მიერ შეკავებული ან დაგროვებული წყლის მოცულობა 50 000 მ<sup>3</sup>-ზე მეტია, ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.
  - II დანართის მე-9 პუნქტის 9.9 ქვეპუნქტის მიხედვით, კაშხლის ან/და სხვა ნაგებობის/მოწყობილობის მშენებლობა, რომლის მშენებლობა მიზანშეწონილია წყლის შეკავების ან წყლის გრძელვადიანი დაგროვების მიზნით და რომლის მიერ შეკავებული ან დაგროვებული წყლის მოცულობა 10 000 მ<sup>3</sup>-ზე მეტია საჭიროებს სკრინინგის გადაწყვეტილების მიღებას.
  - ამასთანავე, კოდექსის II დანართის პირველი პუნქტის 1.6 ქვეპუნქტის შესაბამისად, წელიწადში 40 ტონაზე მეტი წარმადობის აკვაკულტურის მეურნეობის მოწყობა (წყლის ცხოველური ორგანიზმებისა და მცენარეების მოშენება) საჭიროებს სკრინინგის გადაწყვეტილების მიღებას.
  - კოდექსის მიხედვით „თუ საქმიანობის განმახორციელებელი გეგმავს სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებული საქმიანობის განხორციელებას და მიაჩნია, რომ ამ საქმიანობისთვის აუცილებელია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა, იგი უფლებამოსილია სააგენტოს სკრინინგის ეტაპის გავლის გარეშე, ამავე კოდექსის მე-8 მუხლით დადგენილი წესით წარუდგინოს სკოპინგის დასკვნის გაცემის თაობაზე განცხადება.

•  
ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კანონის „აკვაკულტურის შესახებ“ შესაბამისად: თუ ნებართვის მაძიებელი ითხოვს წელიწადში 40 ტონაზე მეტი წარმადობის აკვაკულტურის მეურნეობის მოწყობას ან აკვაკულტურის მიზნით შეკავებული ან დაგროვებული წყლის მოცულობა 10000 მ<sup>3</sup>-ზე მეტია, ნებართვის მაძიებელმა, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის შესაბამისად, სააგენტოს ჯერ უნდა მიმართოს სკრინინგის განცხადებით და მიიღოს სააგენტოს გადაწყვეტილება იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა დაგეგმილი საქმიანობა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას“.

დაახლოებით 40-50 ტონა წლიური პროდუქციის მქონე აკვაფერმაზე გადის ბიზნეს-რენტაბელობის მინიმალური ზღვარი ანუ აკვაკულტურა როგორც ბიზნეს პროექტი იწყება დაახლოებით 40-50 ტონიდან. რა თქმა უნდა რენტაბელური შეიძლება იყოს უფრო მცირე წარმადობის აკვაფერმაც, თუმცა ძირითადად საოჯახო მეურნეობის, დამხმარე სარესტორნე და სპორტულ-სამოყვარულო თევზჭერის მეურნეობის შემთხვევაში. რაც იმას ნიშნავს, რომ ფაქტიურად ყველა ბიზნეს-აკვაფერმა ექვემდებარება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებას, გარდა ისედაც გართულებული აკვაკულტურის სანებართვო პროცედურებისა.

ასევე აღსანიშნავია, რომ მცირე სატბორე მეურნეობების წყლის მოცულობა ბევრად აღემატება 10 000 მ<sup>3</sup>, ხშირ შემთხვევაში ასევე აღემატება 50 000 მ<sup>3</sup>. მსხვილი საკალმახე მეურნეობების წყლის მოცულობაც ასევე აღემატება 10 000 მ<sup>3</sup>, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი ექვემდებარებიან გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებას, გარდა ისედაც გართულებული აკვაკულტურის სანებართვო პროცედურებისა.

აღსანიშნავია, რომ აკვაკულტურა არსად არ მიიჩნევა გარემოზე მაღალი ნეგატიური ზემოქმედების მქონე ინდუსტრიად. სათანადო პროცედურების დაცვის შემთხვევაში აკვაფერმების ნეგატიური გავლენა გარემოზე მინიმალურია.

## 5. მარიკულტურის განხორციელების შეუძლებლობა

საზღვაო წყლებში აკვაკულტურის (მარიკულტურის) ნებართვა გაიცემა (აკვაკულტურის საქმიანობა ხორციელდება) აკვაკულტურისთვის გამოყოფილ ზონაში/ზონებში. აღნიშნული ზონები უნდა დამტკიცდეს 2022 წლის 31 დეკემბრამდე, თუმცა დღემდე დამტკიცებული არაა.

საზღვაო წყლებში აკვაკულტურისთვის გამოყოფილი ზონის სამართავად საქართველოს მთავრობა ამტკიცებს აკვაკულტურისთვის გამოყოფილი ზონის მართვის გეგმას/გეგმებს. აღნიშნული გეგმები უნდა დამტკიცდეს 2022 წლის 31 დეკემბრამდე, თუმცა დღემდე დამტკიცებული არაა.

საქართველოს ტერიტორიული წყლების (ტერიტორიული ზღვის) და განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის სივრცითი დაგეგმვის განსაზღვრამდე საზღვაო წყლებში აკვაკულტურის ნებართვა გაიცემა აკვაკულტურის უწყებათაშორისი საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე, საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული აკვაკულტურისთვის გამოყოფილი ზონის ფარგლებში.

საზღვაო წყლებში აკვაკულტურის ნებართვა გაიცემა საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით (ადმინისტრაციული წარმოების შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება სააგენტოს ვებგვერდზე. დაინტერესებულ პირებს უფლება აქვთ, წარადგინონ მოსაზრებები განაცხადთან დაკავშირებით).

საზღვაო წყლებში აკვაკულტურის ნებართვის განაცხადსა და დაინტერესებულ პირთა მოსაზრებებს (მათი არსებობის შემთხვევაში) განიხილავს აკვაკულტურის უწყებათაშორისი საბჭო.



# რეკომენდაციები აკვაკულტურის სფეროში არსებული ნაკლოვანებების გამოსწორების და პროგრესის უზრუნველყოფის მიზნით

## დარგის ინსტიტუციური გამართვა:

აკვაკულტურას გააჩნია სუსტი ინსტიტუციური ბაზა, ფუნქციათა და პასუხისმგებლობათა მკაფიო გამიჯნვის გარეშე. დარგის პოლიტიკის განმსაზღვრელი და მარეგულირებელი უწყებები: ბიომრავალფეროვნების და სატყეო პოლიტიკის დეპარტამენტში, ტექნიკური საკითხები: ნებართვების გაცემა და მონიტორინგის ფუნქციები გადანაწილებულია გარემოს ეროვნული სააგენტოს ორ სტრუქტურაში: ლიცენზირების დეპარტამენტში და მეთევზეობის, აკვაკულტურის და წყლის ბიომრავალფეროვნების დეპარტამენტში, აღსანიშნავია, რომ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სტრუქტურისთვის აკვაკულტურა წარმოადგენს მხოლოდ ერთ-ერთ მიმართულებას, სხვა მრავალ მიმართულებასთან ერთად.

აუცილებელია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შემადგენლობაში დამოუკიდებელი სტრუქტურის ფორმირება და ამ სტრუქტურაში, სფეროში არსებული პასუხისმგებლობების, ფუნქციების და რეგულირების სიმძიმის ცენტრის გადატანა. შავი ზღვის სხვა ქვეყნებში აკვაკულტურის და მეთევზეობის სააგენტოების ანალოგები მოცემულია ქვემოთ:

- ბულგარეთი: NAFA - National Agency for Fisheries and Aquaculture BULGARIA. ბულგარულად - IARA. <https://iara.government.bg>
- რუმინეთი: NAFA - National Agency for Fisheries and Aquaculture. რუმინულად - ANPA. <http://www.anpa.ro/>
- უკრაინა: The State Agency of Melioration and Fisheries of Ukraine. <http://darg.gov.ua>

## კანონმდებლობის განახლება და კრიტიკული შეუსაბამოების აღმოფხვრა:

აკვაკულტურა, 2021 წლამდე პირდაპირი რეგულაციების და ნორმატიული ბაზის გარეშე არსებობდა. ეს ერთის მხრივ გამორიცხავდა ბიუროკრატიულ ბარიერებს, დარგობრივ გადასახდელებს და სხვადასხვა ვალდებულებებს - რაც დარგის რიგი მიმართულებების (გამდინარეწყლიანი და ტბორული მეურნეობები, რეცირკულაციური აკვაკულტურა) განვითარებისთვის ხელსაყრელ გარემოს ქმნიდა, თუმცა აფერხებდა აკვაკულტურის სხვა მიმართულებების (მარიკულტურა, ექტენსიური აკვაკულტურა, შიდა წყალსატევებში გალიებით აკვაკულტურა და სხვა) განვითარებას. ასევე ნორმატიული ბაზის არ არსებობა გარკვეულწილად ვერ უზრუნველყოფდა დარგში საკანონმდებლო გარანტიებს, სტაბილურობის განცდას, აკვაკულტურის სუბიექტებს, საზოგადოებას და სახელმწიფოს შორის უფლებებისა და ვალდებულებების გამიჯვნას.

2021 წლის 24 ივნისს საქართველოს მიიღო კანონი „აკვაკულტურის შესახებ“, გარდა ამისა ამ კანონის მიღებით განპირობებული ცვლილებები შევიდა საქართველოს სხვა კანონებში და მოქმედ კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში. 2021 და 2022 წლებში მიღებული იქნა ამავე კანონით განსაზღვრული რიგი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებიც.

კანონმდებლობის მიღების მიზანი ერთის მხრივ დარგში არსებული პრობლემების გადაჭრა, ხოლო მეორეს მხრივ სამომავლო პროგრესის უზრუნველყოფა იყო.

სამწუხაროდ კანონმდებლობა შემუშავებული იქნა კომპეტენტური პირების და მოქმედი თევზმომშენებლების ჩართულობის გარეშე. შედეგად მიღებულმა კანონმდებლობამ იმდენი კრიტიკული შეუსაბამობა, ახალი ვადებულება, ბიუროკრატიული ბარიერი და გადასახდელი დააწესა, რომ დღეს მოქმედი აკვაფერმების უდიდესი ნაწილი მას უბრალოდ ვერ დაძლევის. აღნიშნული კანონმდებლობა არათუ ვერ უზრუნველყოფს ვერანაირ პროგრესს, არამედ არსებული სტატუსის შენარჩუნებაც გართულდება.

აუცილებელია არსებული ხარვეზების გამოსწორება, კანონმდებლობის იმგვარად განახლება, რომ მაქსიმალურად იყოს გათვალისწინებული მოქმედი თევზმომშენებლების შესაძლებლობები, ხოლო მეორეს მხრივ განახლებულმა კანონმდებლობამ უნდა უზრუნველყოს დარგის მიმართ საინვესტიციო ინტერესი და სამომავლო პროგრესი.

### **განათლებისა და ექტენსიის დანერგვა:**

საქართველოს არცერთ უმაღლეს სასწავლებელში არარსებობს აკვაკულტურის-მეთევზეობის ფაკულტეტი, დეპარტამენტი ან სპეციალობა. აკვაკულტურა, როგორც საგანი მხოლოდ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზღვის ბიოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში ისწავლება (თუმცა ეს პროგრამა ბოლო წლებია შეჩერებულია).

საქართველოს არცერთ პროფესიულ სასწავლებელში არ მიმდინარეობს აკვაკულტურის სწავლება. ფოთში, პროფესიულ კოლეჯ „ფაზისში“ არსებობს მეთევზეობის სასწავლო პროგრამა, თუმცა ის მოიცავს ორ სასწავლო მოდულს: ლაბორატორიული საქმე მეთევზეობაში და თევზის გადამუშავება.

საქართველოში არ წარმოებს აკვაკულტურის ექსტენცია, არარსებობს აკვა-ფერმერთა ტრენინგ-ცენტრები.

ფერმერების/მეწარმეების უმეტესობა მეურნეობებს ჯერ კიდევ ტრადიციული მეთოდებით მართავს და აქვთ შეზღუდული წვდომა (ან საერთოდ არ აქვს წვდომა) თანამედროვე ტექნოლოგიებთან. ფერმერების დაბალი ცნობიერების შედეგია ის, რომ ბევრი მათგანი ჯერ კიდევ არასწორ მეთოდებს იყენებს თევზის წარმოების პროცესში, არ აქვთ გრძელვადიანი ხედვა და მოკლევადიან შედეგებზე არიან ორიენტირებულები. მათი საქმიანობა ხშირ შემთხვევაში ექსპერიმენტის სახეს ატარებს და შედეგები გამართლებაზეა დამოკიდებული. სწორედ ეს არის იმის მიზეზი, რომ ძალიან ბევრი ფერმერული მეურნეობა საქმიანობის დაწყებიდან მოკლე პერიოდში წყვეტს ეკონომიკურ აქტივობას. მაგალითისათვის აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში წლების წინ 100-ზე მეტი საკალმახე მეურნეობა ფიქსირდებოდა, დღეს კი მხოლოდ 10-მდე მათგანი არის აქტიური.

უნდა დაინერგოს აკვაკულტურის პროფესიული, საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები, მოეწყოს სასწავლო ლაბორატორიები აგრარული პროფილის მქონე უნივერსიტეტების (საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ტექნოლოგიური ფაკულტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერიის ფაკულტეტი) ბაზაზე.

უნდა დაინერგოს აკვაკულტურის ექსტენცია. ექსტენციის პროგრამების უნდა იქნეს შემუშავებული კომპეტენტური სპეციალისტების მიერ. ექსტენცია უნდა ეხებოდეს აკვაკულტურის ყველაზე აქტუალურ საკითხებს, როგორებიცაა დაავადებათა პრევენცია და მართვა, თევზების კვება, გამრავლება და გამოზრდა, თევზების ოპტიმალური გარემო პირობებით უზრუნველყოფა და სხვა.

### **აკვაკულტური ცენტრის (იქთიოპათოლოგიური ლაბორატორია და თევზსაშენი) შექმნა:**

საქართველოში არარსებობს მეთევზეობისა და აკვაკულტურის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება ან/და საკონსულტაციო ცენტრი. არარსებობს იქთიოპათოლოგიური ლაბორატორია, კვალიფიციურად არ მიმდინარეობს დაავადებათა იდენტიფიცირება, პროფილაქტიკური და სამკურნალო ღონისძიებების კონსულტირება.

არ მიმდინარეობს აკვაკულტურის სექტორისთვის ადგილობრივ სხვადასხვა გეო-ეკოლოგიური პირობებთან კარგად ადაპტირებადი, ბიოლოგიურად მედეგი ჩასასმელი მასალის მიწოდება, ექსტენსიური აკვაკულტურის უზრუნველყოფა გენეტიკურად „სუფთა“, კარგი ბიო-ეკოლოგიური და გეოგრაფიული საადაპტაციო უნარების მქონე ჩასასმელი მასალით.

არ მიმდინარეობს ჩასასმელი მასალის მრავალფეროვნების უზრუნველყოფა, რომელიც მოიცავს საქართველოს სხვადასხვა ეკოლოგიური პირობებთან ადაპტირებად, წყალსატევებში სხადასხვა ეკოლოგიური ნიშის და ტროფული დონის ეფექტურად ამთვისებელი ფორმებს, ასევე არ მიმდინარეობს საჯიშე და სასელექციო საქმის წარმოება.

ლაბორატორიული კვლევა ვერ ხორციელდება იმ მაჩვენებლებზე, რომლებიც მოცემულია ევროკავშირის მიერ მე-3 ქვეყნებისათვის გაწერილ გაიდლაინში. ამ გაიდლაინში ზუსტად არის მითითებული, რომელი ჯგუფის რა ვეტერინარული პრეპარატისა თუ ქიმიური დამაბინძურებლის განსაზღვრა უნდა მოხდეს სურსათში (თევზში), ესენია ძირითადად სხვადასხვა ჯგუფის 38 მაჩვენებელი: სტილბენები, სტეროიდები, ანტიმიკრობული საშუალებები, ნიტროფურანები, ნიტროიმიდაზოლები, ანტიჰელმინთები, ქლორორგანული ნაერთები, მძიმე მეტალები და საღებავები. საქართველოში არსებული ლაბორატორიები ზოგ შემთხვევაში ვერ იკვლევენ ყველა მოთხოვნილ მაჩვენებელს (მაგალითად საღებავებს) ან/და არ აქვთ აკრედიტებული კვლევის დამადასტურებელი მეთოდი, რაც სავალდებულოა.

მწარმოებლები ვერ ახერხებენ კვალიფიციური კონსულტაციის მიღებას თევზის დაავადებებთან დაკავშირებით, აღნიშნული კრიტიკულად მნიშვნელოვანია წარმოების ეფექტურად სამართავად. მსხვილ მწარმოებლებს აქვთ იმის შესაძლებლობა, რომ კონსულტაციები მიიღონ უცხოელი ექსპერტებისგან, თუმცა ეს იმდენად დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული, რომ მცირე მწარმოებლებისთვის ეს ყოველივე მიუწვდომელია.

საქართველოში არსებულ წყალსატევებში ყველაზე მეტად გავრცელებული თევზი ცისარტყელა კალმახია. ეს სახეობა ერთ-ერთი ყველაზე მოწყვლადი თევზია სხვადასხვა დაავადებებისადმი, რის გამოც არასათანადო პირობებში მათი სიკვდილიანობის მაჩვენებელი მაღალია. როდესაც თევზს უჩნდება ესა თუ ის დაავადება, მოსალოდნელი ფინანსური ზარალის შიშით, ფერმერი ცდილობს, რომ როგორმე გადაარჩინოს მეურნეობაში არსებული თევზი - კონკრეტულ დაავადების იდენტიფიცირების გარეშე - ფერმერები ხშირ შემთხვევაში ზედოზირებით იყენებენ სხვადასხვა ანტიბიოტიკებს, რამაც შესაძლოა დროებით უზრუნველყოს თევზის გადარჩენა, თუმცა ეს ქიმიკატები რჩება თევზის ხორცში, რომელსაც უკვე შემდგომ მომხმარებელი იღებს. სასურსათო უსაფრთხოების თვალსაზრისით ეს საკმაოდ კრიტიკული საკითხია.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ „სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორია“-ს სტუქტურაში უნდა შეიქმნა იქთიოპათოლოგიის ცენტრი (ლაბორატორია), რომელიც მოახდენს თევზების დაავადებათა იდენტიფიცირებას, განსაზღვრავს სამკურნალო საშუალებებსა და მეთოდების, გასცემს რეკომენდაციებს დაავადებათა პრევენციის მიზნით. განახორციელებს აკვაფერმების ექსტენციას იქთიოპათოლოგიის მიმართულებით.

უნდა მოეწყოს აკვაკულტურის ცენტრი, თევზსასენი - საიდანაც განხორციელდება ადგილობრივი აკვაფერმერების უზრუნველყოფა გენეტიკურად „სუფთა“, კარგი ბიო-ეკოლოგიური და გეოგრაფიული საადაპტაციო უნარების მქონე ჩასასმელი მასალით. აღნიშნულ ცენტრში განხორციელდება საჯიშე და სასელექციო საქმის წარმოება. აღნიშნული ცენტრი განახორციელებს აკვაფერმების ექსტენციას თევზების გამოზრდის, კვების და სათანადო ეკოლოგიური პირობებით უზრუნველყოფის მიმართულებით.